

1954/2

5657

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԿՈՄՄՅՈՒՆԻՍՏԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ



Յ. Ե. Ե. Ե. Ե. Ե. Ե. Ե. Ե. Ե. Ե.


№ 6
036060
1954




ნორჩი პიონერის საზეიმო დაპირება

„მე, საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერი, ჩემი ამხანაგების წინაშე ვიძღვები საჯაროდ დაპირებას ვიყო ლენინის ანდერკის ერთგული, მტკიცედ ვიზრდოლო ჩვენი კომუნისტური პარტიის საქმისათვის, კომუნისტების გამარჯვებისათვის. პირობას ვიძღვები ვიცხოვრო და ვისწავლო ისე, რომ გავხდე ჩვენი საბჭოთა საშრობლოს ღირსებული მოქალაქე“.

(ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების
გავრცელებული კომუნისტური ორგანიზაციის დებულებიდან).





გ ა მ ო ც დ ე ბ ი

მამის დინჯი დარიგება,
დედის სიტყვა დამლოცველი...
ისევ თვალწინ დამიდგება —
გამოცდები!

გამოცდები!

განთიადის გაცინება
რა ლამაზი წუთი არი.
პატარები მაცილებენ:
— «ხუთიანი!»

«ხუთიანი!»


ყაყაჩოთა თაიგულით
სკოლის გზას რომ გამოვცდები,
კვლავ ზარივით რეკავს გული —
გამოცდები!

გამოცდები!

გზად მხვდებიან პატარები,
რა მღელვარე წუთი არი,
და მთელ ეზოს ახარებენ:
— «ხუთიანი!»

«ხუთიანი!»

ნაზი ქილასონია



სუვოროველები



ივანე ურჯულაშვილის მოთხრობა „სუვოროველები“ პრემიერებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მიერ საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე გამოცხადებული კონკურსის ფიურის მიერ 1953 წელს.



თ ა ვ ი 1

შეხვედრა გენერალთან

სუვოროვის სკოლა, რომელშიც მე და ვასია სნირნიცი ჩაგვრიცხეს, შავი ზღვის სანაპიროზე გაშენებულ ქალაქშია მოთავსებული.

ვასია სკოლაში მოსვლის პირველ დღესვე გაცივანი იგი სმოლენსკელია. არც დედა ახსოვს, არც მამა. როგორც ერთი ახლობელი ნათესავისაგან გაუგია, მამამისი სამამულო ომში დაღუპულა, დედა კი ფაშისტებს ტყვედ წაუყვანიათ გერმანიაში და უგზოუკვლოდ დაკარგულა.

ვასიას რაც არ უნდა სთხოვო უარს არაფერზე გეტყვის. ლაპარაკით ცოტას ლაპარაკობს. თუ იტყვის რამეს, იტყვის მოკლედ და მკაფიოდ, ისე, რომ არავის წყენას არ დაეკრძება.

მე და ვასია ლეიტენანტ ლოგინოვის ათეულში მოვხვდით. ლეიტენანტმა მე მის გვერდით მიმიჩინა მჭკრივში ადგილი. ისე რომ, სადაც არ უნდა წავიდეთ, მე და სმირნოვი მხარდამხარ მივაბიჯებთ. კლასშიც ერთ მერხზე ვსხედვართ.

ვასია კარგი საამხანაგო ბიჭიაო, ამბობენ ჩვენი კლასელი სუვოროველები. არ ვიცი, მე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი.

ცოტა ამაყია. თუგინდ ხელისგულზე ერბოკვერცი მოუწვი, მაინც არ დაინახავს.

გუშინ არითმეტიკაში საკონტროლო წერა გვქონდა; აღმზრდელმა ოფიცერმა ისეთი ამოცანა მოგვცა, რომლის მსგავსი მე აღრეც მქონდა გამოყვანილი. ერთი წუთითაც არ დავფიქრებულვარ, ისე შევეუდექი ამოცანის ამოხსნას.

ამოცანა ჩემზე გვიან არც სმირნოვს გადაუწერია, მაგრამ რა ყრია ცარიელ გადაწერაში. გამოყვანილი კი — ვერას უკაცრავად! იფიქრა, იფიქრა, მაგრამ ასავალ-დასავალი ვერ გაუტოვო.

ამასობაში მე უკვე დავამთავრე ამოცანის გა-

მოყვანა. ვიფიქრე ერთხელ კიდევ შევამოწმებ ამოცანის პასუხს, რვეულს მასწავლებელს ჩავაბარებ, გავვარდები ეზოში და ჰერი ბიჭო, რამდენიც გინდა იმდენი თიამაშე ბურთი!

მაგრამ მოიცა! ეს როგორ? ამხანაგი ასეთ გასაჭირშია, მე კი არ ვეხმარები. განა ეს არის მეგობრობა?!

შესაფერი დრო შევარჩიე. სმირნოვს მალულად მუხლისთავი წაგვკარი. სმირნოვი მოიღუპა და მითხრა:

— რა ფეხს ირტყემეინები!

რა გაუგებარი ვინმე ყოფილა. ნუთუ ვერ მიხვდა, რისთვის წაგვკარი ფეხი. ავდექი და საშრობზე დავუწერი: ქალაქებს შორის მანძილი ორზე გაჭყავი. მიღებულ რიცხვს მიუმატე 20. მიიღებ A ქალაქიდან გამოსული ავტომანქანის გავლილ მანძილს. ეს არის პირველი კითხვა. ყურადღებით იყავი, ახლავე გაცნობებ მეორე კითხვას.

სმირნოვმა საშრობს დახედა, წაკითხვით კი არ წაუკითხავს. საშრობი ჩემკენ გამოსწია და დამშვილებით განანგრძო ამოცანის ამოხსნა.

გავბრაზდი. მყისვე რვეული მასწავლებელს ჩავაბარე და გარეთ გამოვედი.

დახე, რა ამაყი და თავმალალი ყოფილა სმირნოვი! ვითომ იუკადრისა კიდევ ჩემი დახმარება. იქნებ ჰგონია, ჩემზე უკეთ იცის არითმეტიკა. ენახოთ, როგორ გამოიყვანს ამოცანას, რა ნიშნის მიიღებს!

მალე ზარი დაირეკა.

სმირნოვი გარეთ გამოსვლისთანავე მე მოვარდა, — პირველ კითხვაზე რა პასუხი მიიღეო.

— შე კაი კაცო, რაღას მეკითხები, პასუხი არ იყო რომ დაგიწერე!

— თენგიზ, მე არ მიყვარს სხვისგან გადაწყვერა. თავისუფალ დროს კი დამეხმარე, დიდი მადლობელი ვიქნები.

— თუ ძმა ხარ, თავი დამანებე. ახლა რა დროს ეგენია, ვერ ხედავ მოედანზე გახურებული ბურთის თამაშისა? — ცალკეად ვუთხარი და მოედნისაკენ მოვუსვი.

ეს იყო და ეს, სმირნოვის გულს აღარ ვუჩვენებ. ლაპარაკით, რა თქმა უნდა, ერთმანეთს ისევ ევლაპარაკებით, მერხზეც ერთად ვსხედვართ.

კვირას მე და ვასია ზღვისპირას დავსვირნობდით. ლაპარაკში ვიყავით გართული და ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ წამოგვადგა თავს ჩვენი სკოლის უფროსი — გენერალი ვასილევი. გენერალი მალალ-მალალი კაცია. უღვაშები ტარას ბულბასავით დიდი აქვს. ფართო მკერდის ორივე მხარეს ბევრი, ძალიან ბევრი ორდენი და მედალი უქვითია. სკოლაში მოსვლის პირველსავე დღიდან, როგორც კი გენერალს დავინახავ, სულმისი ჯილდოების თვლაში ვარ, მაგრამ მათი რაოდენობა ჯერჯერობით ვერ დავდვინებ. ამას წინათ გენერალი ლოჯიაში იჯდა. მე მის შორიასლო ვიჯექი პარტერში. ახლა კი მეშველა-მეთუი, გავიფიქრე, მაგრამ არ ვაპართლდა ჩემი იმედი. გენერლის ნკერღზე დაკიდული ორდენები და მედლები ბევრი ვთვალე, მაგრამ მაინც ვერ დავთვალე.

როგორ უნდა დამეთვალა, როცა გენერალი ვერცხლის წყალივით ერთ ადგილზე არ ჩერდებოდა, ხან მარჯვნივ შეტრიალდებოდა, ხან მარცხნივ, ხან უკან მიბრუნდებოდა.

ჯერ გენერალს ახლო არ ვიცილობ, ამიტომ არც კარგს ვიტყვი მის შესახებ, არც ავს. სხვების ლაპარაკს ყურს არ ვუვდებ. ხომ შეიძლება გენერალი მათთვის კარგი იყოს, ჩემთვის კი — ცუდი. ან შეიძლება პირიქითაც მოხდეს. მოდი და მართლაც პირიქით მოხდეს?! ეს ჩემთვის პაიპაი რომ ემჯობინება!

იმას ვამბობდი, გავიხედე და რას ვხედავ — გენერალი ჩვენკენ მოაბიჯებს და თვალს არ გვაცილებს.


ვასიამ ერთი კი

წამკრა მუჯლუღური და გაიჭიმა, თანაც სამწყობრო ნაბიჯზე გადავიდა. ისე მაგრად არც ვამჩნიებ, გეგონება აივანზე გამოკიდულ ლეიბს ბერტყავივით. გენერალს სამ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, როგორც წესი და რიგია, მიესალმა და გზა განაგრძო.

თენგიზ პაიპამ რაღა ბიჭია, თუ ვასია სმირნოვზე ნაკლებად მიესალმოს გენერალს! მაგრამ, ეს ოხერი, ვასიას ცქერაში გავერთე, გენერლის დანახვით შევეკრთი, თუ რა დამემართა, მეც არ ვიცი: ფეხი ავურეე და მკვიდროდ შეკრული ხუთი თითი საფეთქელთან კი არა თავზემთ ავღმარათე — სწორედ, ისე, როგორც სკოლაში პიონერები ერთმანეთს ვესალმებოდით ხოლმე. გენერალმა თავისთან მიმხმო და მიბრძანა, ათეულის მეთაურს მოახსენე, რომ მისალმება არ იცია. ბრძანება გავიმეორე, ხელი ახლა კი შუბლთან მივიღე და ზურვისაკენ შემოვტრიალდი.

— არ ვარგა! — შემობრუნებისთანავე მომესმა გენერლის მკექარე ხმა.

ადგილზე გავშეშდი. არ ვიციოდი, როგორ მოვქცეულიყავ. კიდეც კარგი, უცბად მოვისახრე,



გენერალმა მიმიხმო და მიბრძანა, ათეულის მეთაურს მოახსენე, რომ მისალმება არ იცია.

რომ საჭირო იყო სწრაფად შემოტრიალება. მეც შემოვტრიალდი.

— ამხანაგო სუვოროველო, შემობრუნებაც არ გცოდნია! — მითხრა გენერალმა. ახლა კი მივხვდი ჩემს შეცდომას: მარცხენა მხარის მიგვივრად მარჯვენა მხარეს შემოვტრიალდი.

— რა გვარი ხარ? — შემეკითხა გენერალი.
— თვალჭრელიძე, ამხანაგო გენერალო.

გენერლის მოტყუებას ვერ გავგებდავდი, მაგრამ ეს გვარი საიდან იყო, საიდან არა, უცბად ენაზე მომადგა.

... წინა კვირას ძალიან საინტერესო ამბავი გადამხდა. ლეიტენანტ ლოგინოვთან მივდიოდი ავტობუსით ბინაზე. მე ხომ ლეიტენანტის შიკრიკი ვარ. როცა ლეიტენანტი ბინაზე და რომელიმე უფროსი უძახის, მე მივდივარ ხოლმე მის დასაძახებლად. ჰო და, ჩემთვის ვზვიავრ ავტობუსში და ღია ფანჯრიდან გაცვერილი ზღვის ნაპირზე მოსიარნე აღმავიანებს. თუმცე ვიღაც ქალი ამოსულა ავტობუსში და თავს დამბოძია. დასამალი არაფერია, ამ ჩანაწერებს ჩემთვის ვაკეთებ და ჩემს თავს რა უნდა დავუმალო! კიდევაც რომ დამენახა, შეიძლება ადგილი მაინც არ დამეთმო. ჩემს უკან კი რომელიღაც ლეიტენანტი იჯდა. თუმცე ტანისამოსი მფრინავისა ეცვა, საბედრო ექთანის იყო, ამას მოწმობდა სამხრებზე დაბნეული მედიცინის სამსახურის ნიშნები.

ავტობუსი რომ გაჩერდა, ექთანმა მიმინმო და ჭკუის სწავლება დამიწყო. ძალიან მეწყინა. მით უმეტეს, ჩემს შორიხლო ერთი წითელაბთიანი გოგო იჯდა, რომელიც ერთთავად მოცქეროდა და რატომღაც მილიმოდა. შენ სუვოროველის მუნდირს ატარებ და არ შეგ შეგინის ასეთი უზრდელობაო, მითხრა ლეიტენანტმა და გვარი მკითხა. გაბოროტებულმა ავდექი და ავკიდე, თვალჭრელიძე ვარ-მეტყე. ამ ამბავმა მშვიდობიანად ჩაიარა. აგერ უფროსი თეთრი კვირა გავიდა და ჩემთვის სიტყვაც არავის უთქვამს, ექთანმა კიდევაც რომ

თავი გამოიდოს და ქვეყანა შესძრას, შეიძლება სუვოროვის რომელიმე სკოლაში კიდევაც სუვოროველი თვალჭრელიძე, მე კი ვერ მომაგნებს.

ექთანთან რომ ტყუილი გამივიდა, ალბათ, ამას შემშატა გამმედლობა, რომ სკოლის უფროსსაც სხვა გვარი ვუთხარი.

— შესარულე ბრძანება, სუვოროველო თვალჭრელიძე! — მითხრა ბოლოს გენერალმა.

კვლავ გავიმეორე ბრძანება, მარცხნივ შემოვტრიალდი და მწყობრი ნაბიჯით გავიქე წინ. შორიხლო ვასილ სმირნოვი იდგა და იღიმებოდა. რა გაცინებს-მეთქი, წყენით ვივთხე. აბა, ხომ არ ვიტირებო. ნეტავ, რა იყო სასაცილო! ამაზე იტყვიან, სხვისი ჭირი — ლობეს ჩხირიო. მე ასეთ გაჭირვებაში ვიყავი, ის კი, ვითომც არაფერი, იდგა და იცინოდა.

სკოლისაკენ რომ მივდიოდი სულ იმს ვფიქრობდი, როგორ ჩაივლიდა დღევანდელი ამბავი. ლეიტენანტს გენერლის ბრძანება მოგახსენო თუ არა-მეთქი, ერთთავად ვეკითხებოდი თავს და ვერაფერი ვაღამეწყვიტა.

რომ მოგახსენო, ვაი თუ მერე ისიც გამომქლავნდეს, გენერალს რომ სხვა გვარი ვუთხარი. არ მოგახსენო და, ვინ იცის, იქნებ უფრო ცუდად წავიდეს საქმე. ხომ შეიძლება გენერალმა შეამომოს შეგასარულე თუ არა მისი ბრძანება. კი მაგრამ, ვის უნდა ჰკითხოხ, მე ხომ არ მითქვამს, რომელ ოცეულში ვარ, მაგრამ არც ამაზე შეიძლება იმედის დამყარება. როგორც უფროსკლასლები ამბობენ გენერალს დამახსოვრება სცოდნია. თუ ერთხელ გაიცნო სუვოროველი, არასოდეს არ დაავიწყდება. ხომ შეიძლება მეც დამიმახსოვროს და სადმე მომმართოს სუვოროველო თვალჭრელიძეო. რაღა მეშველება მაშინ!

ბევრი სჯა-ბასის შემდეგ მტკიცედ გადავწყვიტე, ლეიტენანტისათვის გენერლის ბრძანება არ გადამეცა.

თ ა ვ ი ი

ლეიტენანტი ლოგინოვი

ლეიტენანტი ლოგინოვი კარგა ხანია სკოლაში მუშაობს ათეულის მეთაურად. ტანადია, წაბლისფერთმიანი. შეხედულებით შუახნის კაცსა ჰგავს, თუმცა, როგორც თვითონ გვითხრა, 29 წლისაა. მარცხენა ხელზე, რომელიც ერთთავად გაჭიმული აქვს, ყოველთვის თეთრი ხელთათმანი აცვია. სამაშულო ომში მონაწილეობა მიუღია, რასაც საბ-

რძოლო წითელი დროშის ორდენი მოწმობს. როგორც ამბობენ, ლეიტენანტი მზვერავი ყოფილა. ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილა. მარცხენა ხელი იდაყვიკვეთთ მოუჭრიათ და პროტეზი გაუკეთებიათ.

ლეიტენანტი მხიარული აღამიანია. მაშინაც კი როცა რამეზე გაბრაზდება, თვალეში მაინც უც-

ნის. მეტისმეტად ენამახვილია. ხანდახან ისეთ სახუმარო რამეს იტყვის, ლამის სიცილით დაგვხოტოტოს.

რა გენა, მე ვერა და ვერ შევიწყვი მის ხასიათს. ძალიან მომთხოვნია! ერთიბენწო რამზე ისეთ დღეს დაგაყენებს, რომ თავზედს გაწყველინებს. სულ მე ვყავარ სალაპარაკო. ეს რატომ ტანსაცმელს ნელა იცვამო. მერე რა არის, რომ ნელა ვიცვამ! ერთი წუთით აღრე ჩავიცვამ, თუ გვიან, ამის რა მნიშვნელობა აქვს, ცა ხომ არ ჩამოინგრევა! ეს რატომ მწყრივში დადგომა დააგვიანო. მერე რა მოხდა? დღეს თუ სუფოროველმა პაიჭაძემ დააგვიანა, ხვალ სხვა დააგვიანებსო. ნეტავი ეს რაღა სალაპარაკოა, ლოგინი რატომ ყველა ერთნაირად არ არის გასწორებულიო. ოჯახში ასე არ ვასწორებდით ლოგინებს, მაგრამ განა იქ თბილად და რბილად არ მეძინა. ერთი სიტყვით, თავისებური კაცია ლეიტენანტი. თანაც, ეტუობა, მე რატომღაც კარგი თვალით არ მიცქერის. ნეტავი შეიძლება დღეს სხვა ათეულში გადასვლა. იქ ათეულის მეთაურთან პირველ დღიდანვე კარგად მოვიქცეოდი და იმდენს ვეყოჩაღებდი, რომ თავს შევავყარებდი. ეჰ, ეს ყველაფერი ცარიელი სიტყვეებია. ვინ არის გადამყვანი. აბა, რა უნდა მოვიმიზეზო? ლეიტენანტი ლოგინოვი ყველას უყვარს, ყველა პატივსა სცემს. ხომ იტყვიან, შენ რაღა წითელი კოჭი ხარო.

რაღა უნდა კარგად მოვიქცე, ლეიტენანტი მინც მემდღურის. პურის ჭამაზედაც კი ვანსაკუთრებულ მოთხოვნილებას მიყენებს. გუშინწინ სადილზე სულ ბოლოს ავდექი სუფრიდან. ეს იმიტომ, რომ მინდოდა ცოტაოდენი პური გადამერჩინა. კერძი უპუროდ ვჭამე. ცარიელი კერძი რას გამამდლებდა. მზარეულმა, რომელთანაც მე უკვე მოვასწარი ნაცნობობის გაბმა, ერთი ჯამი ბორში და მიმიატა. ისე თქვენ გაიხარეთ, როგორც მე ჯამს ძირი გამოვუჩინე. ცოტა შევისევნე და კვლავ სასადილოს ფანჯარასთან ავიტუზე. რახან ხარჯია ხარჯი იყოს. ბარემ კისელიც დამიმატე-მეთქი, დავედრიჯე მზარეულს. სქელ-სქელმა მზარეულმა, რომელსაც ისეთი დიდი მუცელი აქვს, რომ წინსაფარი დიდ ღიპს სანახევროდაც ვერ უფარავს,

ალმაცერად შემომხედა, თან აგდებით ჩაიცინა და ერთის მიგვირად ორი ჩამა კისელი დამისხა. სანამ კისელს ბოლო მოვუღე, კარგი დრო გავიდა. ფაციფუცით შევახეე ჩემი წილი პურის ნატეხი და გარეთ გამოვედი. ჩამწყრივებული სუფოროველები სიმღერით მიბაძვიებდნენ საცხოვრებელი ბინისაკენ. ათეულს სირბილით წამოვეწეე და ლეიტენანტს მწყრივში ჩადგომა ვთხოვე.

— რატომ დაიგვიანე? — შემეკითხა ლეიტენანტი; პასუხს არ დაელოდა და ხმამაღლა მომმართა:

- ილიაში რა გაქვს ამოდებული?
- პურის ნატეხი, ამხანაგო ლეიტენანტო.
- მერე რისთვის მოგაქვს საცხოვრებელში, განა ვახშამამდე გშვილება?
- არა, ამხანაგო ლეიტენანტო, პური ჩემი ცხენისთვის მინდოდა. ყოველდღე მიმაქვს მისთვის პური და შაქრის ნატეხი.

ლეიტენანტს გაეცინა.

— მწყრივში ჩადექი, — მოთხრა მან, — მხოლოდ მეორედ აღარ დაიგვიანო.

დღეგამოშვებით ორ-ორ საათს ვმეცადინებოთ საცხენოსნო საქმეში. აღმზრდელმა ოფიცერმა, რომელიც ძველი კავალერისტია და ახლაც ხმლითა და დეზებით დადის, პირველად ცხენის ჯიშის გამოცნა გვასწავლა, მერე — ცხენის მოვლა-პა-



„ლურჯა“ ჯორივით იღვა ერთ ადგილზე და ყურსაც არ იბერტყავდა.

ტრონობა და შეკავშვა. ახლა კი ცხენზე შე-
ჯდომას და ტარებას ვსწავლობთ. მე პირველად
„ლურჯა“ მერგო. არ ვიცი, რატომ ეძახიან ამ
ცხენს „ლურჯას“. არც ფერით, არც ხნით და არც
სხვა თვისებებით ის არ იმსახურებს ასეთ სახელ-
წოდებას. მე რომ მკითხონ „ლურჯა“ კი არა, ნამ-
დვილი ჯორ-ცხენაა. ერთხელ, კარვად იყო თუ
ავად, ზურგზე მოვექეცი. ნაბიჯით ვატარებდით
ცხენებს წრის გარშემო. შუა წრეში აღმზრდელი
ოფიცერი იდგა და განკარგულებებს იძლეოდა.
ჩვენი ათეულის ბიჭები ყველანი თავმოწონენ
იჯდნენ ცხენებზე; ყველა იმას ცდილობდა აღმ-
ზრდელ ოფიცერთან თავი ესახლებინა. თქმა არ
უნდა, სხვაზე ნაკლებ არც მე ვიჭიმიებოდი, თა-
ნაც საყურებლად მოსულ ბავშვებისაკენ ვიციქირე-
ბოდი, რომელთა შორის ტროლეიბუსში რომ წი-
თელბაბთიანი გოგო მიცქეროდა, ის ჩამდგარიყო
და ერთთავად მე მომჩერებოდა. სწორედ ამ დროს
თავლაში თივა მობიტანეს. დანახა თუ არა „ლურ-
ჯამ“ თავლის ეზოში გაბნეული თივა, ერთი გა-
ქნევით თავი წამართვა და თვისაკენ გაიწია.
ღონიერად მოვბლუჯე აღვირი, ბევრი ვეწეე, მა-
გრამ ვერაფერს გავხდი. „ლურჯა“ მეგლეოვით ეცა
თივას და ჰკამას შეუღდა. რაც ძალი და ღონე მქონ-
და აღვირი ვეწეოდი, ვუყვაროდი, მათრას გამე-
ტებით ვცემდი, მაგრამ ვერაფერს გავხდი. „ლურ-
ჯა“ ჯორივით იდგა ერთ ადგილზე და ყურსაც
არ იბერტყავდა.

ამის დანახაზე ერთი სიცილ-ხარხარი ატყდა.
იცინოდნენ ჩემი ამხანაგები, იცინოდნენ საცქერ-
ლად მოსული ბავშვებიც (განსაკუთრებით ის წი-
თელბაბთიანი გოგო იცინოდა), ასე გასინჯეთ,
აღმზრდელმა ოფიცერმაც ვერ შეიკავა თავი და
გულიანად გადაიხარხარა, რომელიღაც პატარა
ბიჭმა ისიც დამიძახა, არსენ სად ჩამოხტებიო.

სიტყვით არ შემიძლია გადმოვცე ის, რაც მე
ამ მძიმე წუთებში განვიცაღე.

ეს იყო და ეს — „ლურჯას“ ახლო აღარ გავ-
კარებია.

შემდეგ მეცადინეობაზე აღმზრდელმა ოფიცე-
რმა „თავლაზე“ შემსვა. ამ ცხენს ეგ არის, რომ
ქიხინი უყვარს და ერთ ადგილზე არა ჩერდება,
თორემ, ისეთი გამგონე და ჰკვანია, — უტბად
თავს შეგაყვარებს.

მეც ძალიან შემეყვარდა „თავლა“. საღამო-
ობით, თავისუფალ დროს, თავლაში მივდივარ და
„თავლას“ პურსა და შაქარს ვაქემე. ძალიან შემეჩვია
„თავლა“, როგორც კი ჩემი ნაბიჯის ხმას გააგო-
ნებს, აქიხინდება და ჩემკენ იციქრება. კარგი მე-
გობრებივით გვიყვარს მე და „თავლას“ ერთმანეთი.

თუმცა ჩვენი მეგობრობის შესახებ არაფერი
არი იცის. არ იციან იმის შესახებაც, რომ თავლა
ყოველ საღამოს პურსა და შაქარს ვუხდევ. ეს არც
ლეიტენანტმა იცოდა, რომ სცოდნოდა, ხომ არც
შემეიტხებოდა, პური რისთვის გინდაო.

მეორე დღეს გადავწყვიტე ყველაზე ადრე მესა-
დილა და მაგიდიდან პირველი ავმდგარიყავი. პუ-
რის წალბა კი ველარ გავბედე. მართალია, ლეიტე-
ნანტს სასაიდლოდან პურის წალბაზე არაფერი
უთქვამს, მაგრამ მე მისი სიტყვებიდან ის აზრი გა-
მოვიტანე, რომ ამის გაკეთებაც არ შეიძლებოდა.

ცხელი ხარხითი პირი დავითუთქე, ხორცსაც
დაუღუჭვავს ყვალაპვდი. სუფერიდან პირველი წამო-
ხტი და გარეთ გამოვედი.

— ასე ჩქარა ისადილე? — შემეკითხა ლეიტე-
ნანტი.

— დიახ, ამხანაგო ლეიტენანტო, — მივუხე მე.

— ლეიტენანტმა სასა დახედა, თავი გადააქ-
ნა. გადმოიქანდა და თქვა:


— არც ეს ვარგა, სუვოროველო პაიჭაქე, —
განაწესში სადილობისათვის 30 წუთია დათმობი-
ლი, შენ კი 10 წუთში ისადილე. განაწესის დარ-
ღვევა დანაშაულია.

ვერაფერი გამიგია, დაიგვიანებ — გეუბნებიან,
რად დაიგვიანო, ადრე მორჩები — და მაინც გისა-
ყვედურებენ, ადრე რად მორჩიო.

ამას წინათ ლეიტენანტმა სხვებთან ერთად მეც
გამიშვა ქალაქში. მთელი ქალაქი შემოვიარე, სად
არ ვიყავი, რა არ ვნახე, ბოლოს დაღლილ-დაქან-
ცული ქალაქის პარკში შევედი. ნელა მივამოხე-
დი ახალმოწყობილ სასიერნო ბილიკზე, რომ-
ლის ორივე მხარეს გრძელი სკამებია ჩამწყობი-
ბული. სკამები სავსე იყო დამსვენებლებით. ხარ-
ბად ვსუნთქავდი ყვავილების სურნელით გაყენ-
თილ ჰაერს. პარკის ბოლოში რომ გავედი, გზე-
დავ, განცალკევებით მდგარ სკამზე ჩემი ნაცნობი
წითელბაბთიანი გოგონა დამჯდარა და მუხლის-
თათვეზე მედაშლილ წიგნს კითხულობდა. ნაცნობი
გოგო-გაღიშლი, ასე იმიტომ ვამბობ, რომ მე და ის
უკვე კარგი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, თუმცა
ჯერ არც ის დამლაპარაკებია და არც მე. ფეხ-
კრეფით ჩაფურე წითელბაბთიანი გოგოს, რომელ-
მაც უტბად შემომხედა, მაღულად ჩაიციანა და
თვალები უშალ წიგნისაკენ დახარა. მივდივარ და
ფეხები უკან მრჩება, თან მთელი სახსრები თით-
ქოს იმას მეუბნებიან, სკამზე დაჯექი, დაჯექიო.
არ მიტრიალდები-მეთქი, გადავწყვიტე, მაგრამ
მაინც მიტრიალდი. ფრთხილად დავჯექი სკამის
ნაპირზე და ახალნაყიდი წიგნი გადავშალე.
თვალს არ ვაცილებ წიგნს, ვითომ ვკითხულობოქი-

ლექსი მაგრამ სინამდვილეში მთელს გულსიყურო გვერდით მჯდომ გოგონასაკენ მიქვს მიქცეული. ისიც ვითომ წიგნს კითხულობს, თუმცა მე რას გამომაპარებს, ერთ წერტილს მისჩერებია, თანაც წარამარა ჩემგან იჭვრიტება.

ქარგა ხანს ვისხედით ასე. რამდენჯერმე ერთმანეთს თვალებშიც შევხედეთ, თქმით კი, თითქოს გაბუტულები ვიყავით, ერთმანეთს არაფერს ვეუბნებოდით. ამ მდგომარეობიდან ქარხნის საყვირის ხმამ გამომიყვანა. საყვირი 9 საათს გვამცნობდა, მე კი ქალაქში 8 საათამდე ვიყავი გაშვებული. გველნაკბენივით წამოვხტი და ქუდმოგლეჯილი გავიქეცი სკოლისაკენ. გზაში თავს ვიჩქნებდი. ლეიტენანტი ნამდვილად სკოლაში არ იქნება-მეთქი. მაგრამ, ესეც ბედი! სკოლის ეზოში ფეხის შეღდმისთანავე წინ ლეიტენანტი შემომხვდა.



ფრთხილად დავჯექი სკამის ნაპირზე...

— ისეც დაიგვიანე? — ითხრა ლეიტენანტმა, — ამჯერად უნდა დავსაჯო. გიკრძალავ ერთ თვეს ქალაქში გასვლას. გასაგებია? —
რა უნდა მეთქვა, თუ არა — გასაგებია. მეთქი.

(ბაბრქალეზა შვიმეზა ნომერი 30)

პიონერული გზაპკალი

მხსრან მატაპკაინი

ბანაკებისკენ ვიჩქართ, —
გულეები გვიძგერს სიამით,
დედის მზრუნველი ხელივით
გვეალერსება ნიავი.

გზადგვა გვხვდება სოფლები,
ყანები, მთები, სერები;
ვტაბებით ბუნების მშვენივით,
მაღბაზი პიონერები...

აჰა, გამოჩნდა ბანაკიც, —
ნაძვებით შემოჯარული;

ზიბინებს მწვანე ბალახი,
ისმის მდინარის ხმაური.

აქ ყველაფერი ჩვენია;
ხალისიანად ვისვენებთ: —
ვცურავთ,
ვბურთაობთ,
ვჭიდაობთ,
ვკრავთ ყვავილების კონას...
ახალ ძაღლივით სავსენი,
შემოდგომაზე ისევე,
ჭრიაბულით და ყიჟინით
დავბურუნდებით სკოლას.



ზაქარია შერაზალიძე

ნახ. კ. მახარაძისა

„მსახიობები“

პოემა

სკოლის ზარებს, კარგებს,
მოსწყენით კოლეც,
რომ არ ისმის მათი
რეკვა კილით-ქიდე.

მოითმინონ, ისევ
ავაქდურებთ მალე,
სექტემბერი როცა
მოგვაშუქებს თვალებს.

აგვისტოა, ყველგან
ვალამაზებთ სკოლებს,
ბავშვებმა კი მთელი
მთა და ბარი მოვლეს.

მამ რას კმარა თითით
რომ გაეცნონ რუკებს,
მთა და ბარი მოვლეს,
ბრუნდებიან უკვე.

და ჩვენს ეზოს ახლა
ქრიაშული ავსებს;
თავი მოუყრია
მზეში დამწვარ ბავშვებს.

ფუსფუსია დიდი,
სმაურობენ, რადგან
გადაწყვიტეს მტკიცედ
წარმოდგენა დადგან.

ასე არის ახლა,
ასე იყო მუდამ,—
წარმოდგენის დადგმას
რეჟისორიც უნდა.

ამ საქმისთვის ერთხმად
შეარჩიეს ლილი,
მარჯვე გოგოც არის,
მსახიობის შვილიც.

ბიესა კი შეთხზა
ბიონერმა ლელამ,
წაიკითხეს, მაგრამ
შეყოყმანდა ყველა.

ლილიმ უთხრა ტოლებს,
რჩევა გკითხოთ მამას.
გაუხარდა ბავშვებს,—
რა ჯობია ამას.

და ბიესა, ბევრი
საუბეოდ რომ თვლიდა,
ლილის მამამ ლელას
მოუწონა დიდად:

მხოლოდ ერთგან — ორგან
შეუსწორა ცოტა.

დაუჯერეს საქმის
მცოდნესა და ოსტატს.

ამ ბიესას ჰქვია
«კიტრის ქურდი დათა»,
შეეხება საქმეს
ცნობილსა და მართალს.

და რომ ითქვას აქვე
სინამდვილე სწორი,
ის ყოყმანი მაშინ
წამკითხველებს შორის,

მოსდა, რადგან ბავშვებს
დადგომოდათ ხათრი,
გასლდათ დათა თურმე
მეგობარი მათი.

მოუხატინენ იმას,
ვინც მუსრს ავლებს ხეხილს,
ყველას ბაღში ვისაც
გადაუდგამს ფეხი;

გადაუდგამს ჩუმად,
ნაყოფს ვინღა დასდევს,
აჩანავებს ტოტებს,
აჩანავებს ბარდებს.

ნამყენია თუ რა,
სულაც არ აქვს დარდი.
ხილი მიაქვს ტოტით,
კიტრი მიაქვს ბარდით.

სირცხვილია, მაგრამ
ბავშვებს ვუთხრათ ბირში,
რომ ზოგიერთს ხათრთან
ჰქონდა დათას შვიიც.



* * *

«რეჟისორი» ლილი
კარგად იცნობს ტოლებს;
უნაწილებს ყველას
შესაფერის როლებს.

უნაწილებს როლებს,
საქმეს მარჯვედ მართავს,
ოღონდ არვის უნდა
იყოს ქურდი დათა.

რადგან არვის უნდა,
რა მოხდება ვითომ,
დათას როლი ლილიმ
შეასრულოს თვითონ.

დე, წაბაძის ლილიმ
ონაერობას მისას,
ქუდს და ხალა-შარვალს
ინჰარს თავის ძმისას.

მოიფიქრა ასე,
გადაწყვიტა ხელად,
ითამაშებს თვითონ,
გაუხარდა ყველას.

მეზანქანედ იყოს
«ჩხირკეღელა» რეზო

ყოველგვარი საქმე
განაწილდა ასე,
ზოგიერთებს გული
შიშოთა აქვს საესე.

მოიწყვენ ყველას
დედებსა, თუ მამებს,
გას თუ შერცხვენ მაშინ,
შეშალოთ რამე.

ამიტომაც ფრთხილობს
ბატარების დასი,
ძვირად ნახოთ საღმე
სიბეჯითე მსგავსი.

* * *

ლილიმ, გივიმ, რეზომ,
თამაზმა, თუ ლელამ,
ბილეტები დილით
დაურიგეს ყველას.

მაგრამ დათაც ვინახოთ,
რა დღეშია ბიჭო,

* * *

შებინდების მერე
ფეხზე დაღა სახლი,
აივანი გრძელი
ავსებულა ხალხით.

ჯერ სად არის, ბეერი
ემატება კიდეც,
ალარ უჩანს ბოლო
ბატარებს და დიდებს.

ყველას მოაქვს საკმი,
ჯდება სადაც უნდა.
ამდენ ხალხში მტერმა
ითამაშოს ცუდად.

* * *

არ ელოდა დათა
ამოდენა ამბავს;
გვიანაა, ახლა
რას გახდება აბა.

იქ, აივნის თავში,
სიო არხვებს ფარდას,
არაფერი დარჩა
მისი გახსნის გარდა.

ფარდის გახსნას ყველა
შეეგება ტაშით
და სცენაზე ფრთხილად
შემოვიდა ბავშვი.

სცენას ვამბობ, მაგრამ
უქცევიათ ზღადა,
არ შეუკრთენ თურმე
შრომისა და დიდლას.

გაუკვირდა ყველას,
გაუკვირდა მეტად,
ყველაფერი როგორ
მოახერხეს ნეტაც.

ჩანს ხეხილი, ღობე
და ბოსტანი მწვანე,
ნამდვილ ზალს და ბოსტანს
როგორ დაამგვანეს.

მაგრამ კიდეც უფრო
გაიოცა ყვილამ,
როს სცენაზე შუქმა
იგლო ისე ნელა,

რომ საღამო დადგა.
ამ დროს მიწყდა ტაშიც,
ღობეზე კი უხმოდ
გადიპარა ბავშვი.

სიფრთხილე და აალო,
სწორედ კატას უგავს,
მაგრამ ავერ, უცებ,
ყვავა მორთო ცუგამ.

და შემკრთალი ქურდი
გადმოეკლო ღობეს.



ასე არის ახლაც,
ასე იყო მუდამ,
სცენასა და დარბაზს
განათებაც უნდა.

ვფიქრობ, ამბობს ლილი,
დამთანხმდებიოთ თქვენაც,
სხვებზე უკეთ გივი
გავინათებს სცენას,

გავინათებს დარბაზს,
გავინათებს ეზოს,

დათას მხოლოდ გვიან
შეებარა იჭვი.

გაიგო და ყველას
შეუთვალა რისხვა,
მაგრამ აღარ გასჭრა
დამუქრებამ მისმა.

შემოთვალეს: — ტოლებს
რატომ გვარცხვენ მულამ
დამაშვარალხარ ახლაც
შეზებურად, ცუდად!



იცქებრბა უკან,
ხომ არავეინ მოსდევს.

ეს ლილია, დათას
რა მშენიერად ბაძაქს.
მაგრამ დახეთ, უცებ
ძმის შარვალი ჩასძვრა.

გაეხლართა ფეხში,
დაენარცხა მიწას,
ყარაულმა თელომ
შემოუსწრო იმწამს.

შარვალი რომ ჩასძვრა,
ლილის გასცრა ტანში,
დარბაზში კი ატყლა
მზიარული ტაში.

შარვლის საქმე მოხდა
უცებ, თავისთავად,
კიდევ კარგი, საქმე
არ წაივიდა შავად.

თედოს როლი ჰქონდა
მერვეკლასელ თამაზს,
არ შეუკრთა იგი
მოულოდნელ თამაზს.

აფუარა — ასე
დაიჭირა აქურდი»,
ვით წესია, თავზეც
გადააძრო ქული.

სწორედ ამ დროს ფარდა
ჩამოუშვა რეზომ,
ტაშისციმამ გრგვინვით
გადუქროლა ეზოს.

უნებური მარცხი
გამოსწორდა უცებ.

მაგრამ ლილიც ვნახოთ
გული ოგორ უცემს.

მიესიენ ლილის,
რომ დაეშვა ფარდა,
მაგრამ იგი ნამდვილ
მგლოვიარეს ჰგავდა.

შარვალი რომ ჩასძვრა,
სწუხდა თურმე აბას,
რალა უთხრას დედასი
რალა უთხრას მამასი

ტოლუბსაც კი ველარ
გაუსწორა თვალი,
აპირებდა ტირილს
«მსახიობი» ქალი.

მაგრამ დახეთ, თითქოს
ეთამაშნოს კარგად,
ულოცავენ, თანაც
ხელს ართმევენ მაგრად.

ყველა მართლა ჰკრცნის,
ყველა მართლა აქებს,
გვიან მიხვდა ლილი
რამიც იყო საქმე.

ჰგონებოდა თურმე
დარბაზს ხალხით სავსეს,
თითქოს ლილის განგებ
ეთამაშნოს ასე.

ჩაფიქრდება ლილი,
საჭიროა მართლაც,
უფრო გაამასწროს
ყველა მსგავსი დათა.

* * *

კვლავ დარეკეს ზარი,
კვლავ გაიხსნა ფარდა,
წესითა და რიგით
გააგრძელეს დადგმა.

აჩვენებენ ამბავს
ცნობილსა და მართალს,
ღირეჭტორი სკოლის
დაიბარებს დათას.

მერე რაზმის კრება
გაგრძელდება დიდხანს,
საყვედურობს ყველა,
ყველა დათას ჰკიცხავს.

* * *

ბატარების კურნალს
იცნობს ყველა ბავშვი,
რამდენ ახალ ამბავს
არა ნახავ მასში.

იმ კურნალმა ძალზე
გაახარა ლელა —
«კიტრის ქურდი დათა»
დაუბეჭდეს ხელიად.

მოსდებია ყველგან,
კიდევ დგამენ ხშირად.
ხილის ქურდებს საქმე
დასჯდომია ძვირად.

ვისაც თუნდაც ერთხელ
მოუპარავს ხილი,
ვაშლი, მსხალი, კიტრი,
ან ყურძენი ტკბილი,

შაქარივით ტკბილი,
ტკბილი, როგორც თაფლი,
მოკლედ, ვისაც თავზე
გადასხმია ლაფი,

დარღისაკან თურმე
აღარ იცის რა ქნას,
როგორ მოიშოროს
სამარცხენო ლაქა.

იმათ რიცხვში გახლავთ
ჩვენი დათა ბიჭიც,
ცდილობს სწავლას, შრომას
მთახმაროს ნიჭი.

ცდილობს ქცევას კეთილს
შეეჩვიოს ისიც,
გაამართლოს თავის
პირობა და ფიციც.

რომ არ შერცხვებს კიდევ
სკოლაში, თუ სახლში,
რომ შეეძლოს მასაც
გამოჩენა ხალხში.





ი. ლიხაჩაშვილი

ნახ. გ. თათბაძისა

პირველი სახელი*



ი. ლიხაჩაშვილის მოთხრობაში „პირველი სახელი“ მკითხველი ეცნობა ურალის ერთ-ერთი სამრეწველო ქალაქის, ყველწნოვოსის პიონერ-მოსწავლეთა ცხოვრებას, სწავლასა და შრომას. მოთხრობის მთავარი გმირები, პიონერები პანია პესტოვი, ვადიკ კოლმოგოროვი, გენა ფელისტეივი და სხვები გატაცებული არიან ფერადი ქვების კოლექციების შეგროვებით. ამ დროს ქალაქის საწახნავო ფაბრიკა იმ სკოლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის წევრებს, სადაც პანია და მისი ამხანაგები სწავლობენ, თხოვს დაეხმარონ მალაქიტის ძებნაში, რომლისგანაც ქარხანამ უნდა გააკეთოს საპატია დაფა; ვინაიდან ამ დაფაზე პირველი სახელი იქნება პანიას მამის გრიგორი ვასილიევიჩის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო სტახანოველისა, პანია განსაკუთრებით დაინტერესებულია მალაქიტის ძებნით. იმ ძებნაში მას მთელი რიგი ამბებისა გადახდება, ის ამბავი, რომ პანია განსაკუთრებით ტრაბახობს თავისი მამის მიღწევებით, თავისი კოლექციით, და შეუფასებლობას იჩენს სხვების მიმართ, სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მის ამხანაგებში. განსაკუთრებით გამწვავებულია ურთიერთობა პანიასა და მის თანაკლასეულ გენა ფელისტეევს შორის. პოლს პიონერული კოლექტივისა და ოჯახის გავლენით პანია შეიგრძნობს თავის დანაშაულს; ის და გენა შერიგდებიან, სკოლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტს აჩუქებენ ფერადი ქვების თავიანთ ძვირფას კოლექციებს და პიონერული რგოლი, რომელშიაც ისინი არიან, კვლავ მტკიცე მეგობრულ კოლექტივად იქცევა.

მოსწავლეთა ცხოვრების პარალელურად მწერალი გვიჩვენებს უფროსების, ურალელი მალაროელების თავდადებულ პატრიოტულ შრომას სამშობლოს საკეთილდღეოდ.



ოქტომბრის შუა რიცხვებში წვიმიანი დარბი დაიწყო... იმ დღეს, რა დღესაც დიდი შერება უნდა ჩატარებულიყო, წვიმამ განსაკუთრებით მოუხშირა; გულისგამაწყალებლად, სვედიანად აკაკუნებდა სარკმელზე. მხოლოდ საღამოეკამს გადაიღო. პანიას გაუხარდა. რასაკვირველია, შერება ყოველგვარ ამინდში შესდგებოდა, მაგრამ წვიმის გარეშე, ცხადია, უკეთესი იყო. მან აიღო ლუმელიდან ადრეული ჩაიდანა, მაგიდა გააწ-

ყო, გასნა ნამცხვრის შეკერა, ლამაზად დაალაგა ლამბაქზე, როგორც ამას დედა აკეთებდა ხოლმე, და მამა გადაიქცა:
 — მამოკ, დროა ჩაი დალიო, თორემ დაეგვიანებო...
 — დაგვიანება ჩვეულებად არ მაქვს, — დაამშვიდა იგი მამამ, მაგიდას მიუჯდა და პანიას, როგორც უფროსს, ჰკითხა:
 — როგორ მიზრძანებ გამოვეწყო?
 — ჩაიცვი ყველაზე საუკეთესო, — მიუყო პანია. — დედამ შენი ლურჯი კოსტუმი და თეთრი პერანგი გაამზადა. პალსტუხი უჯრულა, აი ის, მოსკოვში არბატზე რომ ეყიდებო. ყველა ორ-

* ნაწყვეტები მოთხრობიდან.

დენი და მედლი და სოციალისტურ შეგებებაში წარჩინებული ნიშნები...

— მაშასადამე, სრული საპარალო ფორმა... მაგრამ ეს მე რომ არ მაწყობს. სკოლიდან პარტიის ქალაქკომში წავალ ბროპავანდისტების თაობაზე. ხალხს გაუკვირდება, სრულ ფორმაში რომ ვიქნები. მაგრამ არა უნდას... ვანუშმარტკე, რომ ბიონერებმა მიზრძანეს... ბევრი იქნებო შეურბაზე?

— მექექსე კლასების ყველა რაზმი. მამიკო, შენ სიტყვას იტყვი არა?

— აბა, რა სიტყვას... მე ვერაფერი შვილი ორატორი ვარ. ვერ დაგიყვებნი, ვუამბობ ბავშვებს წინასაოქტომბრო სტალინურ გახტე მალაროში და ჩვენი შეჯიბრების შესასებ სტეფანე პოლუკრიოკოთან... აინტერესებთ მათ ეს საქმე?

— მერე როგორ? გუშინ სტეფანე იაკოველივი წავიდა წინ, ბავშვები კი, სულერთია, ამბობენ, რომ შენ შეჯიბრში არ დაუთობ.

— აბა, აბა! — შეაჩერა იგი მამამ. — ეს იგი რა, ჯერჯერობით გაურკვეველია, არაფერ იცის.

ყველაფერი შეუფერხებლად მიდიოდა იმ წუთამდე, ვიდრე მამა დინახავდა, რომ პანია უწყდის ახლასან ნაყიდ მწვანე ქუღს. ეს ქუდი მამამ რატომღაც მამწვე შეიჯავრა და მხოლოდ დედის დაქინებით მოთხოვნით იხურავდა; მაგრამ ახლა დედა შინ არ იყო.

— მომეტი ლურჯი კები! — მოითხოვა გრიგორი ვასილიენიმა. — საქიდარიანს საო აქარა?

— მამიკო, დედა თქვა ეს ქუდი დაიხუროსო. დაიხურე, მამა, გიხდებ... კები კი დედამ შეინახა, შეიძლება გადააგლო კიდევ არ ვიცი.

— მოძებნე კები, ან ძველი ქუდი! — გააკურდა მამა.

— მამიკო, დრო აღარ რჩება, შეკრებამდე დაგავიანებთ, — შეეფერდა პანია.

— მომეცი!

მამამ ერთის მოქნევით დაიხურა ქუდი. მიღწეული გამარჯვებით აღტაცებული პანია უკან მიყვა. შეხარდა მამასთან გულში ფორბოდა: «რა ფრანკია!»

სკოლაში შეკრების დაწყებამდე თხოუმეტი წუთით ადრე! მივიდნენ. ვესტიბოლში უკვე მოყვარათ თავი ბიონერებს. ყოველი მხრიდან მოისმა:

— სალამი, გრიგორი ვასილიენი!

— სალამი, მია გრიში!

პანია მამა ღირებუროის კაბინეტამდე მიაცილა, თვითონ კი თავის კლასისკენ გაქანდა. უკვე დღერფანშივე შემოსმა ხმები. ბავშვები შეკრებამდე ლაპარაკობდნენ. ერთი ჯგუფის ცენტრი იყო ვადიკი.

— უჰ, ბიჭები, მე ყველა წრეში ჩავატარე ღრმა დაზვერვა! — ამბობდა ის და ადგილზე ტრიალდდა, რომ ყველა მისეულის სახე დანახა. — ყველა წრე იცავს «სამხედრო საიდუმლოებს» და ვერაფერი ვერ გავიგე. მხოლოდ «გამარჯე ხელები» არ მალოდნენ, ურეწებენ ყველაფერს, რაც დააკეთეს — ინებე! წრე «მარჯე ხელები» ჩვენ გარკვეულად დაგვამარცხებს. ვანკა ერემევი ასეუ ამბობს: «დაგვამარცხებთ და ცხვრისაოცესაც მოვცემთ ცრემლები» შესაწყნდითო». — მან პანია დანახა. — გესმის, პან, ჩვენ სასაცილოდ ავიგდებენ!

— ნუ გვაშინებ, ნუ გვაშინებ! — უთხრა ტოლია სამხონიმა. — ექ გამოჩნდება რა და როგორც იქნება... ჩვენი კოლექცია არავის დაღიავებინებ...

— დიდი საქმე, კოლექცია! — მოიგერია ვადიკმა. — აბა გენახა როგორი ექსკავატორი გააკეთეს «მარჯე ხელებმა». სულ ნამდვილივითაა. ბრძმედს არ თვლი?

მექექსე კლასების ბიონერულ შეკრებამდე, რომელიც მიქძღვნა

მშვიდობის წინასაოქტომბრო სტალინურ ვახტს, სასკოლო წრეებს უნდა ეჩვენებინათ თავიანთი მუშაობა. მექექსე აბა კლასის ქვისმოყვარულებს, ცხადია, უნდოდათ თავიანთი მხარეებში წინის წრის სრული წარმატება და ძლიერ დედადენ. მაგრამ განსაკუთრებით დედადენა პანია.

როგორ გამოადგებოდა ახლა მას წრის მეორე მამასახლისის, გენა ფელისტეკეის ალუფთოთველი სიღრნე, მაგრამ გენა იგიაუნება.

ახმაურდა რეპროდუქტორი. გაისმა ბიონერული რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის როსტიკი კრილოვის ხმა:

— ბიონერებო, ყურადღება! რ რიგად მოეწყებთ და შედიო დარბაზში... უხმაურად, ანკოხისა და მიხლა-მიხლის გარეშე.

სკოლა მოძრაობაში მოვიდა.

ბავშვები არც კი ფიქრობდნენ ანკობას, გამოდიოდნენ დერეფანში და ჩადიოდნენ კიბეზე. მხოლოდ დარბაზის კარებთან შეუერთდა მათ გენა ფელისტეკეი.

— ძია ლოლია დაბრუნდა შეგებულებიდან, — განმარტა მან თავისი დაგვიანება. — როგორაა საქმე, პან?

— «მარჯე ხელები» ტრახბახონა, რომ დაგვამარცხებენ...

— ხელი არ მოუწყდებათ, — იხუმრა გენამ, — ბიძია თქვა. რომ ჩვენი კოლექციისათვის მთელი მალაროლები მალკობას იტყვიანო.

პანია გამხმენდა.

« მ ა რ ჯ ე ხ ე ლ ე ბ ი »

ურველოდ დაიწყო ეს შეკრება. დარბაზში შესულ ბავშვებს თითქმის არაფერი დაუწავათ. დარბაზში ერთი მხოლოდ ერთი პატარა და ისიც დაჩრდილული ნათურა, ჩანიერი ვარჯერები კი მჭიდროდ იყო ჩამოფარებული ფარდებით.

— აქეთ... მოეწყვეთ... — დაბალი ხმით გასცა განკარგულება რომან ნილიანმა.

პანია მერბამდე ვერც კი გაარკვია, რომ მათი რაზმი მექექსე «ა» კლასის რაზმის უკან მოეყვა. ხოლო შემდეგ, როდესაც ზინდა-ზუნდს თვალთ შეაჩვია, დანახა, რომ ბავშვების წყნერი ნალისებურად შემობრტყმია თავისუფალ ადგილს დარბაზის შუაგულში.

— სიწყნარე! — გაისმა როსტიკი კრილოვის ხმა. — მოგეცით სინათლე!

სცენის თავზე აენათ პროექტორი. ნათელი, ოდნავ ფერადი შუქი მთელ დარბაზზე გაუწა და ვანათა ამხანაგ სტალინის პორტრეტი, რომლის ზეგითაც აენთნენ თურის ასობო: «ლიდბა შრომის გმირებს!» შემდეგ შუქი გავართოვდა, მთელ კედელს მოედო და ბავშვებმა დანახეს მთა ქედუნაიას ცნობილი ადამიანების — გრიგორი ვასილიენის პესტოვის, სტეფანე პოლუკრიოკის, მექქერე სამხონის, მყოლოდენ ნოსოვის და ბერე სხვათა ფოტოსურათები. ბიონერები ტაშს უკრავდნენ, და იღიზიზნება სტალინი, გარშემორტყმული შრომის გმირებით.

შემდეგ მოხდა გაურკვეველი, საოცარი. სულ ორიოდ წამით ჩაქრა სინათლე, რაღაც აშრიილდა და როდესაც პროექტორი კვლავ აენთი, გავიციისაგან ყველამ ამოიხიხრა: კედელზე ამხანაგ სტალინის პორტრეტის ირგვლივ კვია კოლექციის დიად მშენებლობათა ყველაზე ნათელი ფერებით დასატული რუკები. კრილა ზოლოდ მიიკლანებოდა ვოლოცა, და ზღვებდა იმლებზე და ილქტრისადღერების კაშხალბოთან; ცხელად არბებს შეუერთებიათ ვოლოცა-დონის წყლები; დნებარს წყალი ყირიმის მკლებზე მოსულა; წყალუხვი არბების ნაბიობიდან უდაბნოს

ყუთელ ქვიშებზე საიერიშოდ მიღიან მოზიზინე მწეანის ტალღები.

ბავშვები ის ახმაურდნენ, ისე იქნება ტაშმა, რომ პანიას თავისი ხმაყ კი არ ესმოდა, როცა «ვაშას» იძახდა. ამ დროს პროექტორის შუქმა კიდევ უფრო მაღლა აწივია და მიუღ ქედელზე აწიო წარწყვია: «გაუმარჯოს მიწისფლობის სტალინური ვახტანგ ნორჩი ლენინელებო, იყავით კომუნისმის მშენებელთა ღირსნი!»

— აბა, ძმებო, გამოგონებელთა წრის ისე უშუშავია, რომ უქუთისი არ იქნება! — გააკეთა დასკვნა ვალკამა. — ეს როგორ გააკეთეს: რომ ჯერ ბორტრეტები იყო, შემდეგ კი რუკები?

— შენ და, ვერ გაიგე? რუკები თამასებზე იყო დახეხული, და შემდეგ გაიშალა. — განმარტა გენამ და იქვე აღიარა: — კარგად კი გამოვიდა, არ გედავები... ქება და დიდება მათ! «ნეტავ ჩვენც ასევე...» — გაიფიქრა პანიამ.

დარბაზი ვახალათ.

— აი, ტენიკა! — ამოიხრა ვალკამა. — შეხედე, შეხედე, პანი!

ტენიკა გარს ერტავა კოცონს, რომელიც დარბაზის შუაგულში დაბალ კვარცხლბეკზე იყო განაღებული. აქ იყო ექსკავატორი № 14, რომელიც არაფრით არ განსხვავდებოდა ნამღვილისგან, თუ მხედველობაში არ მიგვლიდ სიდიდეს, ბრძმელი «მირნაია» და ბავრიით-ბურღვის დაზვა, იატაკზე კი ბრწყინავდა რკინიგზის ლიანდაგი. პანიას გული გაეწყრა; მან თვალის შეავლო «ურალის ქედს», რომელიც სკევის ახლოს იდგა, და მიიღუშა. ტილოს საბურველები, რომელიც კოლექციას ფარავდა, დახატული იყო მთიანი ტიკავა. გრანიტის კლდეებით — შიხანებით და წყალგარდნილების ვერცხლისფერი ძაფებით. ყველაფერი ეს ახლა პანიას ისეთი უბადრუკი ეჩვენა...

თავის წუხელში შთანთქმული პანიას ყველაფერს, რაც შემდეგ მოხდა, ბურანში მყოფივით ხედავდა. როსტიკ კრილოვმა და ტატიო მიიღო რაზმების საბჭოს თავმჯდომარეობისაგან. შეკრების მონაწილეთა ხაზის წინ ჩამოატარეს რამხელის დროშა... ავრგზიდა კოცონი, უზარალოდ რომ ითქვას, აფრივდა განათებული აბრეშუმის ლაქის და ყვითელი დაფიქრები, რომელთაც ქვევიდან ენტილატორი უბრავდა... ბავშვები დასხდნენ კედლებთან მწკრივად დალაგებულ საყმაზე და კოცონთან გრიგორი გუბანოვიჩი გამიჩინდა. მან ხელი ასწია, რომ ტაშისკემა შეჩერებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა და თავი ისე უჩვენა, თითქოს კოცონზე ხელგან ითხოზოს. ამ ხუმრობას ბავშვები სიცოლით შეხედდნენ და ტაში მიწყნარდა.

— არ ვიცი, რომ სკოლაში ნამღვილი მალაროს კარიერი გქონდა, — თქვა გრიგორი ვასილივიჩმა და თან ტენიკას ათავიერებდა. — მუშაობ? — ჰკითხა მან «მარჯვე ხელების» წრის მამასახლისის ვანია ერემევეს.

— მუშაობს, გრიგორი ვასილივიჩი! — უბატაკა გამზადრამი, აწოწილმა ერემევემა და მსხვილი ჭორჭორით დაფარული სახე ერთბაშად გაუწოთლდა, — შეიძლება დავიწყობ?

— დავიწყობ! — ნება დართო გრიგორი ვასილივიჩმა.

იმავე წუთში ტენიკა გამოცოხლებდა. ექსკავატორი ახმაურდა, ციციება ქემა ამოიღო, და როდესაც ექსკავატორი 180 გრადუსით შემობრუნდა, ციციების ფსკერი გაიხსნა და ქემა ოქროსფერი ნაკადად გადმოცვივდა.

ფართო კვარცხლბეკის ქვემიდან, რომელზედაც უხმოდ და უკავშილოდ გიზგუნებდა კოცონი, გამოვარდა ორთქლივადი სამი ვავონით, და მის ბორბლებქვეშ ატაკცუნდნენ ისრები. ბავრიით-ბურღვის დაზვა მწყობრად აიკავდა საჭრითელი კრეკის ნატეხებს. ბრძმელების ჭვავილ-ხერვლიდან წამოვიდა თუჯი, ხოლო ბრძმელის საკრძქეში დამრეკი კიბით შევიდნენ მადონისა და კოქსის მიმწოდებელი შვეულ-სურკები.

— «მარჯვე ხელების» წრეში უნდა ჩავწერილიყავ... ისინი იმარჯვენები — შურით თქვა ვალკამა და ტაში დაუკრა. — შენ რა პანიას ავრცელებ! — შეაწყვეტინა მას გენამ და თავი ტილოს გავჯერებული ელვარებით გასცა თავისი მღვდლარება. განისმა მომთხოველი ხმები: — კოლექცია რათ არის დაფარული? რატომ იმალებინა მხარეთმცოდნეები? — გაჩერებუ კოლექცია... — ვინ იმალება? — სააასუზოდ ახმაურდნენ მხარეთმცოდნეები. — მამასახლისებო, აბა, გასხენით კოლექცია! — გამაგრდი, უხედურო! — დააროვა თავისი მეგობარი ვალკამა.

მხარეთმცოდნეობის წრის მამასახლისები პანიას და გენას წამოადნენ, მივიდნენ კოლექციასთან და ტილოს საბურველის კიდეებს ხელი ჩაავლეს. მხოლოდ ახლა შეჩინა პანიამ კარებთან, სკოლის დირექტორის გვერდით დგომი ნიკოლაი პავლოვიჩი. ნიკოლაი პავლოვიჩმა მამასახლისებს გაუღიმა და თავი მაღლა ასწია, სიღნევისა და სიმბტიციისაკენ მოუწოდა მათ; პანიამ თავისი თავი აიძულა ყოჩაღად მდგარიყო, გენას კი ისედაც ისეთნაირად ეჭირა თავი, თითქოს მწყობრში ყოფილიყოს — პირდაპირ და აღუშოთვედა.

დარბაზში ყველა ნათურა ჩაქრა, მხოლოდ კოცონი იძვლიდა მკრალად სინათლეს.

მთავის საიღუბლოება

— მოთმინეთ, პანიას და გენას, — თქვა როსტიკ კრილოვმა და ხმამაღლა გამოაცხადა: — ბავშვებო, მოისმინეთ წინასაოქტომბრო გავტყობის მიმდინელი ლექსები! დიდი ლექსი დაწერა სკოლის განთქმულმა პოეტმა მიხა ანციფეროვმა; ლექსი ასე მთარგმნა:

მაშ იხმაურე, ივრგვინე, თავისუფალი შრომავ! დგანან და წყნით ვაქავტებს ოქტომბრის ვახტზე დგომა. ლეხურეთ შერმატეებში, ვგზრებს — ვაშა და ტაში, და კარგი სწავლით უფროსებს ჩვენც ამოუდგეთ მხარში.

«უჰ, ახლა კიდევ ლექსები!» — გაიფიქრა პანიამ, რომელსაც უკვე მოთმინება არ ყოფნიდა კოლექციის გახსნამდე; დეი, მოხდეს რაც მოსახდენია მაგრამ სკოლის მეორე განთქმული პოეტის სვეტიკ ჭალდილშიკოვის ლექსი მოეწონა მას იმიტომ, რომ შესანიშნავად ეწყობოდა ამ მიმენტს.

მთების საუნეზე ახაღმთო რიდე, — რათა აყვავდეს სამშობლო კიდევ!

ხმამაღლა წარმოთქვა სვეტიკმა, და იმავე წუთს პანიამ და გენამ სწრაფად გადაადარეს კოლექციას შალითა, თითქოს ტყის საბურველი ახაღმთო «ურალის ქედს».


თავდაპირველად აქა-იქ განისმა ტაში, მაგრამ როგორღაც სწრაფად მიწვდა. რატომ? იმიტომ, რომ ბავშვები წამოხტნენ, კოლექციას მისცოდნენ და გარშემოვიხენენ; თან გაცხარებით გადაულაპარაკებდნენ ზოგნი ერთმანეთს.

— აი, გამოგონი, ხელმარჯვე ხალხი — თქვა ვიღაც ნაცნობმა და პანიამ ერთბაშად ვერც კი იცნო მამის ხმა. — ეს ისეთი ძვირფასი საჩუქარია კულტურის სახლისთვის!

— პან, გემისი? — დაბალი ხმით ჰკითხა გენამ.

ესმოდა კი პანიას? მან შეხედა კოლექციას, თითქოს პირველად ხედავდა, და თვალს არ დაუკერა. ნუთუ ყველაფერი ეს წრის წევრებმა გააკეთეს?

მაგიაზე აღმართულა ერთმანეთისაგან უღელტეხილებით გაყოფილი სამი მთა. და მერე რა რომ მთები დახლებოდა, სულ სამოცოდნეობად სანტიმეტრები, — მინც ნამღვილი ურალის მთებში, ისეთი, როგორც ის ესატეხათ გეოლოგებსა და მალა-



პანიამ და გენამ სწრაფად გადაადრეს კოლექციას შალითა.

როლებს: მთების ყველა საიდუმლო, ყველა სიმდიდრე გამოქონდა, დიდი საგანძურის ყველა ფარული საუნჯე გახდა თვალმისაწვდომი.

მეობა ბრწყინდება... უხილავი, ნიშნებში დაფარული ნათურები მტრთაღი შეუთი ანათებს შფერებს, ფერღობებს. სინათლე ფერის იცვლის, ხან ძლიერდება, ხან ნელდება და ნაირფერადი ათინათის უხმო თამაში ურალი უჩვენებს თავის სიმდიდრეს.

გაბრწყინდა მალაქიტის ჯვალსნური მწვანე. ალისფერი სელენიტისგან მოვარის შუქი გამოკრთა, ცეცხლოვან ნაბერწკლებად დაღვრქვია მთის ფერღობებს სინჯური, გადაიშალა კვარცხის ვერცხლისფერი ძარღვებით დასერილი ქვები, — უცნაური და მრავალფერი, აქა-იქ აღიმარინენ მარმარილოს გარდისფერი, მომწვანო, რუხი-ნაცრისფერი კლდეები. ოქროს თეთინაბადებზე-ეთ აელვარდნენ პირიტები, აქნათ წითელი კვანძი — ავანტიურინი. აიშალა ქვის ფთილის — აზბესტის ქულები...

კოლექცია ციმციმებდა ათინათითა და ფერებით.

ყოფილ ქვეში ხან აენთებოდნენ, ისროდნენ ღალისფერ, მწვანე, იისფერ სხივებს, ხან კი თითქოსდა შორღებოდნენ, მიღლიდნენ მთის სიღრმეში და თან წარიტაცებდნენ გულებს მალაქიტის მღვიმეებსა და სპილენძის მთის ბროლის სარდაფებში.

მღვიმეში გაჩნდა რაღაც ბუნდოვანი, უცნაური, რომელიც ენთებოდა და თანდათან ღებულობდა მკვეთრ გამოსახულებას.

საქართველოს დანარჩენი რაიონებიდან გამოჩნდება მზის ნაწილობრივი დაბნელება, ე. ი. ამ ადგილებისთვის მზე მთლიანად კი არ დაიფარება ბნელი ბაღროთი, არამედ კიდევ იკაშკაშებს ცაზე მისი მცირე ნაწილი, რომლის სიდიდე არ აღემატება მზის ხილული სიდიდის ერთ მეათედს. საერთოდ, აღმა უფრო ახლოს იქნება მაყურებელი სრული დაბნელების ზოლიდან, მზის მთ უფრო მეტ ნაწილს დაინახავს იგი დაბნელებულს. ქ. თბილისიდან დაბნელებული გამოჩნდება მზის 0.996 ნაწილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი დედაქალაქი მზის მომავალი სრული დაბნელების ზოლის სამხრეთ სარდრიდან დაშორებული იქნება სულ რაღაც 18 კმ-ით.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მზის ნაწილობრივი დაბნელება დაიწყება ნაშუადღევის 4 საათსა და 23 წუთზე და იშუებრდება 6 საათსა და 38 წუთზე თბილისის დროით. ყველაზე უფრო მეტად მზე დაბნელებული იქნება 5 საათსა და 35 წუთის მახლობლობაში. მზის სრული დაბნელების ხანგრძლივობა იქნება მხოლოდ რამდენიმე ათეული წამი.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, 30 ივნისს მთელი ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეებს საშუალება ექნებათ დააკვირდნენ მზის ნაწილობრივი, ხოლო ზოგიერთი რაიონების მოსწავლეებს კი—სრული დაბნელებასაც. მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუშვან ხელიდან ეს მეტად ზელსაყრელი შესაძლებლო-



მზის გვირგვინი

ბა და აუცილებლად უნდა აწარმოონ დაკვირვება ბუნების ამ მეტად საინტერესო მოვლენის მიმდინარეობაზე.


ოღონდ საჭიროა მტკიცედ გავსოვდეს, რომ მზის შეხედვა ნაწილობრივი დაბნელების დროსაც კი, როცა მზეს აქვს ვიწრო ნაშტლის სახე, შეიძლება მხოლოდ გაჭვარტული ან სხვა რაიმე ბნელი მინის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია მხედველობის სერიოზული დაზიანება. თუ დამკვირვებლის განკარგულებაში არის ბინოკლი, ჭოვრი ან ტელესკოპი, მაშინ მით უმეტეს, საჭიროა განსაკუთრებით დიდი სფეროსილიე. ამ შემთხვევაშიც ინსტრუმენტის მიწ აუცილებლად უნდა მოთავსდეს ბნელი მინა, რომლის მოზორბაც შეიძლება მხოლოდ სრული დაბნელების დაწყების შემდეგ. მაგრამ იგი ისევე უნდა მოვიმარაგოთ სრული დაბნელების დამთავრებისთანავე.

რატომ ხდება მზის დაბნელება? ამ კითხვის რომ ვუპასუხოთ, გავისწინოთ ზოგიერთი ცნობა ციურის სხეულების შემსწავლელი მეცნიერებრივი, რომელსაც ასტრონომია ეწოდება. ეს მეცნიერება გვაჩვენებს, რომ მზე წარმოადგენს უზარმაზარ გავრავარებულ სხეულს. მისი განივი ცენტრალური 1 390 000 კმ-ს, შივიდან 149 500 000 კმ-ის დაშორებით, მის ირგვლივ, მოძრაობს ჩვენი დედამიწა, რომლისაც თავის მხრივ შუავს თანამგზავრი მთვარე. მთვარე მოძრაობს დედამიწის გარშემო და ერთ სრულ შემოვლას ასრულებს 27¹/₃ დღე-ღამის განმავლობაში. დედამიწიდან მთვარემდე მანძილი ეტელება 380 000 კმ-ს. ამგვარად, მზე ჩვენი თითქმის 400-ჯერ უფრო შორსაა, ვიდრე მთვარე. მეორეს მხრივ, მზის განივიკვეთი დაახლოებით 400-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე მთვარის განივიკვეთი, რომელიც 3 400 კმ-ს უდრის. ამ შემთხვევით თანაფარდობის გამოა სწორედ, რომ მზე და მთვარე დაახლოებით ერთი და იგივე სიდიდისააჩნე მოჩანს ცის თალღე.

დედამიწა და მთვარე წარმოადგენენ ვაცებულ, საკუთარ სინათლეს მოკლებულ ციურ სხეულებს. ისინი განათებულინი არიან მზის სხივებით. ამიტომ, როდესაც მთვარე დედამიწის ირგვლივ თავის მოძრაობისას მოხვდება ზუსტად მზესა და დედამიწას შორის, მათ შეეძრებოდა სწორი ხაზზე მთვარის ჩრდილი დაცემა დედამიწის ზედაპირს და თანდათანობით დაბნელებს მის სხვადასხვა ნაწილებს, ე. ი. მოხდება მზის დაბნელება დედამიწაზე მყოფი დამკვირვებლისათვის. ამ დროს მთვარის განათებული ნაწილი მიქცეული იქნება მზისკენ, ბნელი კი—დედამიწისაკენ (ახლა ვახატებია, რომ ის შავი ბადრია, რომლის შესახებაც ზემოთ ვგვიხედავდით). უნდა იყოს მთვარე, მთვარის ასეთ მდებარეობას ახალ მთვარეობას უწოდებენ. მაშასადამე მზის დაბნელება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ახალი მთვარეობისას, მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ დაბნელება მოსალოდნელია ყოველი ახალი მთვარეობისას.

საქმე იმაშია, რომ მთვარის ხილული გზა-ცის თალღე ჩვეულებრივად გადის მზის ცოტა ზემოთ ან ქვემოთ. მხოლოდ შედარებით იშვიათად ხდება ისეთი შემთხვევები, როცა მთვარე გაივლის მზის წინ ბნელი ბადრის სახით და, მაშასადამე, გამოწვევს მის დაბნელებას.

ძველ დროში მზის სრული დაბნელების ხილვა შემპირწუნებელ შობებულობას ახდენდა გაუანათლებელ ადამიანზე. მათ ეს მოვლენა მიაჩნდა რაღაც გრანდიოზულ მსოფლიო კატასტროფად, რომელსაც შეიძლება მოჰყოლოდა დედამიწის და მთელი სამყაროს განადგურება. დაბნელების მიერ გამოწვეულ



ლი შიში წარმოადგენდა იმის მიზეზს, რომ სხვადასხვა ხალხში გავრცელებული იყო ამ მოვლენის მრავალნაირი ზღაპრული ახსნა. მაგალითად, ჩინეთში რამდენიმე ათეული საუკუნის განმავლობაში ყველა დარწმუნებული იყო, რომ მზის დაბნელება გამოწვეულია რაღაც უზარმაზარი ჯადოქრული გველეშაპის არსებობით. ეს უხილავი, მაგრამ მეტად მზისხანდ ურჩხული, თითქმის თავს ესხმის მზეს და თანდათანობით იქცევს მას თავის ვეებერთელა ხახაში. ამიტომ დაბნელების დადგომისას ჩინელები გამოდიოდნენ ქუჩებში ათასგვარი რკინეულობით, ქვაბებით, დოლებით და თოფებით შეიარაღებულნი. ამ ნივთების დახმარებით ისინი ტყნდნენ საშინელ ხმაურს და თანაც ყვიროდნენ. ამით მათ სურდათ შეემშინებინათ ურჩხული, რათა მას არ გადაეყვალა მზე.

ჩვენს დროში მზის დაბნელების მიზეზები ისე კარგადაა შესწავლილი, რომ მეცნიერებს შეუძლიათ რამდენიმე საუკუნით და უფრო მეტი ხნით ადრეც კი დიდი სიზუსტით გამოანგარიშონ, თუ როდის და სად მოხდება მზის ნაწილობრივი ან სრული დაბნელება და რამდენ ხანს გავრცელდება იგი. ასე, მაგალითად, უკვე გამოანგარიშებულია, რომ საბჭოთა კავშირის დედაქალაქი მოსკოვი სრული დაბნელების წილში მოხვდება მხოლოდ 172 წლის შემდეგ, სახელდობრ 2126 წლის 16 ოქტომბერს, დღის 11 საათზე.

მზის სრულ დაბნელებაზე მეცნიერული დაკვირვების წარმოება უადრესად საინტერესოა, რის გამოც ასტრონომები ყოველთვის, როცა კი ხდება ეს მოვლენა, აუცილებლად აკვირდებიან მას, თუნდაც ისეთი დაკვირვების ჩატარება მოითხოვდეს მოვლენი ექსპედიციების წარუშლასთან დაკავშირებულ დიდი დროისა და თანხების დასარჯვას, როგორც ეს ხშირად ხდება.

მზის მომავალი სრული დაბნელება განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება დასაკვირვებლად იმის გამო, რომ იგი მოხდება მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ და ადვილად მისაღწევად ადგილებში. აბასთუმნის ობსერვატორია მზის ამ დაბნელებაზე დასაკვირვებლად მოაწოდებს სამ ექსპედიციას. ერთ-ერთის ადგილსამყოფელი იქნება ლაგოდეხის რაიონი.

ეგვიპ არის, რომ დაბნელებაზე დაკვირვება უფოდ წარმტებით ჩატარდება, თუ, რასაკვირვებია, ასტრონომებს სწელი არ შეუშალოს მათმა დაუფინანსებლამ და ჯერჯერობით დაუფლვევლამ მტკრებამ—ღრუბნებმა. ამ უკანასკნელთ, სამწუხაროდ, შეუძლიათ სავსებით მიღრუბლონ ცა მზის დაბნელების დღეს და ამით მოვსპონ ასტრონომებს ბუნების მეტად საინტერესო მოვლენაზე დაკვირვების საშუალება.



3. ჯაჟიპაჟილი,

საკართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასპირანტი.



ირაკლი აბაშიძე — საბჭოთაო ლექსები და პოეზიები

მშენებელი ადამიანები. პოეტმა უმღერა ახალი, ბედნიერი ცხოვრების შემოქმედ ბელადს:

„იმ კაცს დიდება,
ვინაც შრომა უსიხარულო
ბედნიერების და გმირობის
საკმედ გახადა!“

საბჭოთა ხალხმა დიდი სამამულო ომის დროს სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა გერმანულ ფაშისტ დამპყრობლებს. საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი მზითაა განათებული პოეტის ამდროინდელი ლექსები და ბალადები. პოეტი მოუწოდებდა ყველა საბჭოთა ადამიანს გააფრთხილეთა და ლომკაცურად დაურტყა ჩვენი სამშობლოს მტრებისათვის — ყველა გადამთიფლისათვის. ირაკლი აბაშიძის დიდი სამამულო ომის პერიოდში დაწერილი ლექსები: „კაპიტანი ბუხაიძე“ და „ჟღერსმანაშვილის გმირობა“ ქართველი ხალხის საყვარელ სასიღირო ლექსებად გადაიქცა.



ირაკლი აბაშიძე

დიდი სამამულო ომის ძველამოსილად დასაბურვების შემდეგ, მშვიდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკს დაუპირისპირდა ახალი ომის გამჩაღებლების, აგრესორთა ბანაკი — ამერიკის იმპერიალიზმის მეთაურობით. ირ. აბაშიძე მოუწოდებს მსოფლიოს ყველა პროგრესულ მოქალაქეს ომის განჩაღებლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ყოველივე პაეტული სალექსებებით კარგადაა გადმოცემული ლექსების ციკლში „სიძღვრა მკის დროს“.


მსოფლიოში არსებობენ პატარა ქალაქები და სოფლები, რომლებიც წარსულში კაცობრიობისათვის არ ყფნენ ცნობილება მათ მივდამოებში დაბადებულებიყვნენ ან ეცხოვრათ გენიოს ადამიანებს, ან მომხდარიყო უდიდესი ომები, ან დადებულიყო ისტორიული ხელშეკრულებანი. დღეს ამ შემუშნეველ დასახლებულ ადგილებს ხალხი მოწიწებითა და პატივისცემით იხსენიებს. ამ ბედნიერი ქალაქების რიცხუს ვკუთვნის „დიდი სტალინის მშობლური პატარა ვარია“.

ირაკლი აბაშიძემ სამ სტროფიან ლექსში დაგვიხატა პატარა გორი გიგმაიცი

ლიახვით, „გორის ციხესთან ნაგები“, ისტორიული ქოხით, რომელშიაც დაბდა დიდი სტალინი. სტალინის სახელმა უმნიშვნელო პატარა ქალაქი შეაყვარა მშრომელ ხალხს და მთელ მსოფლიოში გაუთქვა მას სახელი:


„პატარა გორი დიდია,
ბევრის მომწრე და მნახელი;
ქვეყნებში რეკავს ხაროვით
მისი ქართული სახელი“.

არც ერთ სხვა ქვეყანაში ისე საამურად და ბედნიერად არ ცხოვრობს ბავშვი. როგორც საბჭოთა კავშირში. ეს არის იმ დიდი მხრუნველობის შედეგი, რომელსაც კომუნისტური პარტია და ჩვენი მთავრობა იჩენს კომუნების მომავალი მშენებლის — ნორჩი თაობის მიმართ. კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა მილიონობით ბავშვებისათვის აუტანელი პირობებია შექმნილი ერთი მუჭა კაპიტალისტების მიერ. ისინი ველურ ექსპლოატაციას უწყვენ ბავშვების შრომას. ჩაღის ფასად ამუშავენ ბავშვებს. იქ ჩვენი საზღვრების გადაღმა, დაბრწის ჩველ ბავშვთა ლაშქარი „მუდამ მზიერო მუდამ მტირალი“. ჩვენში კი ბავშვის



მაღალი მხატვრული ოსტატობა, მაღალიდურობა, ხალხურობა, პოლიტიკური სინახვილი და ჟებლიკისტური პათოსი დამახასიათებელია თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზიისათვის. ყველა ეს ნიშანდობლივი თვისება ახასიათებს ხალხისათვის საყვარელი პოეტის ირაკლი აბაშიძის ლექსებსა და პოემებს. მისმა პოეზიამ თავიდანვე მიიქცია ქართველი მკითხველის ყურადღება.

ირაკლი აბაშიძემ იმ პოეტთა ერთ-ერთი უნიკიერესი წარმომადგენელია, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ათეულ წლებში გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე. მწერალთა ამ თაობამ ბრძოლა გამოუყენა და ყოველივე ანტიხალაქურს, ანტირევოლუციურს, ლიტერატურას მიხნად დაუხანა ხალხის სამსახური და უარყო ბურჟუაზიული მწერლობის დევიზი — „ხელღებნება ხელოვნებისათვის“. ირაკლი აბაშიძის ანდროინდელ ლექსებში ერთის მხრივ აღწერილია წარსული დროის უკუღმართობა, მშრომელი ხალხის დუხიერი ცხოვრება და მეორეს მხრივ ჩვენი საბჭოთა სინამდვილე: მშრომელი ხალხის ბედნიერი და სამაური ცხოვრება, ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობანი, სტახანოვიერი მოძრაობა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს



მოსწავლეთა შემოქმედება

იძ, სადაც პარტია გმამხანის!

ცხოვრება „არის სიამე, არის სიმუერა და სინარული“. ირაკლი აბაშიძემ ლექსში „ორი ბავშვობა“ დაგვიხატა ერთი მხრივ საბჭოთა ბავშვების და მეორეს მხრივ მონობისა და ტანჯვის ქვეყნებში — ირანსა და თურქეთში მცხოვრები ბავშვების მდგომარეობა. პოეტი ლექსის უკანასკნელ ტაქსში მიმართავს ჩვენს ბავშვებს:

„იმუდამ განსოვცენ: შურისძიებამ იქ რომ მონობას ჯერ ეერ აჯობა, და უფრო მეტად, უფრო ძლიერად შეგიყვარდება შენი ბავშვობა.“

ირაკლი აბაშიძის საბავშვო ლექსების თემატიკა. მრავალფეროვანია. მის ლექსებში ბავშვი ნაჩვენებია: აჯანჯში, სკოლაში, უფროსებთან, ტოლებთან დამოლაში, კიდებულუბაში და გათვალისწინებული ბავშვის ასაკის თავისებურებანი. ირაკლი აბაშიძის „საბავშვო ლექსების და პოემების“ წიგნში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსები: „ირინეს გაკვირება“, „ვინ მოასწრებს“, „მომიხარია სოფლისკენ“, „გამოცდები“ და სხვ. ამ ლექსებში პოეტი თავისი მადლიანი ენით და თემისადმი განსაკუთრებული მიდგომით ახერხებს ძალდაუტანებლად მივიდეს ბავშვის გულამდე.

პოემა „რას გადაურჩა თბილისი“ წარმოადგენს ეპიზოდებს საქართველოს ისტორიიდან. მწერალი ყურადღებას აქცევს მნიშვნელოვან, მთავარ მომენტებს ქართველი ერის ცხოვრებაში. მკითხველი მუქი მხატვრული პოეტური საღებავების საშუალებით ეცნობა საქართველოს წარსულს: ბუღა თურქების, მერვეს ყრუების, თემურ ლენგებისა და ალა-შაჰბაღ-ხანების თარეშსა და დროებით ბატონობას საქართველოში.

ხალისიანი ლექსების ციკლით „შევისწავლოთ ყოველი ცხოველი და ფრინველი“ ბავშვები ეცნობიან მშობლიურ ბუნებას, მშობელი ქვეყნის ფლორასა და ფაუნას.

ირაკლი აბაშიძის წიგნი „საბავშვო ლექსები და პოემები“, რომელიც ახლახან გამოიცა „საბლიტგამმა“, ძვირფასი საჩუქარია ბავშვებისათვის და ჩვენი ნორჩი თაობის საყვარელი სამაგიდო წიგნი გახდება.

ბაკურ ბახუჩიძე

მრავალი ქართველი ახალგაზრდა გამგებარა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ყამირი და ნასვენ მიწების ასათვისებლად.

სულ უფრო ჰყვავდება სამშობლო მზითური, სულ უფრო მალდდება მომავლის ხარაჩო; ჩვენს წინსვლას დაიდი და მარადიული დღეს ლენინ-სტალინის პარტია სდარაჯობს.

გვსურს ავაყვავილოთ, გვსურს ავახავეროლოთ გვსურს ზაღად ვაქციოთ სამშობლოს მთა-ველი; სამშობლო ვადილოთ, სამშობლოს შევმატოთ, ვამრავლოთ ბარაქა და პურის თავილოთ.

ომარ სუხუბა,
გეგეკორის რაიონის სოფ. კიწის საშ. სკოლის მოსწავლე.

გ ა მ ო ც ე ბ ი

გამოცდები, გამოცდები... სმენა! ვიწყებ ამბის თხრობას! მკვირცხლი ბიჭი, გამრჯე ბიჭი, ჩვენს ეზოში ცხოვრობს კობა.

დაამთავრა გამოცდები, სულ ხუთეზურ ჩაბარა; კარგი სწავლით მან სამშობლო და დედ-მამა გაახარა.

ჩვენს ეზოში ცხოვრობს კობა, ხუთოსანი არის იგი, რადგან უყვარს ყმაწვილს სწავლა, რადგან უყვარს ყმაწვილს წიგნი.

დაამთავრა გამოცდები, მეც ვამთავრებ ამბის თხრობას და გისურვებთ, რომ სწავლაში თქვენც მიზმაძოთ ზეჯით კობას.

გიორგი სანადირაძე,
გ. ი. ლენინის სახელობის ბათუმის ვაჟთა I საშ. სკოლის მოსწავლე.

წელს პირველად

მე აღისფერ ყელსახვევს წელს პირველად ვატარებ. ფიცო დავდე, ვისწავლო, სამშობლოს გავახარებ.

წითელი ყელსახვევით რა ამაყად დავდივარ!

— სწავლა! სწავლა! — ლენინმა გვიანდერძა პატარებს; წითელი ყელსახვევით ვიცო, ამას მავლებს!

ო, რარივ მიხარია, წელს მესამე კლასში ვარ,

ნათელა ბიგვაძა,
ოჩამჩირი, მესამე კლასის მოსწავლე.

სამკურნალო მცენარეები



ფურისულა

ფურისულა, ან ვაშლისულა, ფურისულა-სებრთა ოჯახს ეკუთვნის. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა კვერცხისებური ფესვითანი ფოთლებით. ღერო 10—25 სმ-ია. გვირგვინი ყვითელი აქვს. საქართველოში ფურისულა იზრდება თითქმის ყველგან, განსაკუთრებით მდელოზე და ტყის პირას. მას შეხედვებით სუბალპურ ზონამდე. ყვავილობს აპრილიდან ივნისამდე.

ფურისულა შეიცავს: ეთერზეთს, პრიმულამჟავას, ამორფულ საშონის, პრიმულაგერინს, გლუკოზიდებს, ენზიმებს და სხვ.

მეცნიერულ მედიცინაში ფურისულასაგან ამზადებენ გამონაცემებსა და გამონახარშებს. ამ ბოლო ხანებში მისგან მიიღეს პრეპარატი პრიმულტაბილი და ტუსისაქტი. ფურისულას ყველა ჩამოთვლილ პრეპარატებს მეცნიერულ მედიცინაში ხველების წინააღმდეგ იყენებენ. სამკურნალო მიზნებისათვის დაყვავილების შემდეგ აგროვებენ ფურისულას ფესვებს.



მ ი რ ი ს ტ ა რ უ ა

ვირისტერფა რთულყვავილოვანთა ოჯახის წარმომადგენელია. მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა, მხოთხეი ფესურით და შეხუსული ღეროთი. ღერო ბოლოვდება დიდი ზომის კალათა ყვავილედით. მისი ფესვითანი ფოთლები ზემოდან მუქი მწვანეა, ხოლო ქვემოდან თეთრია და ქეჩისებურად შეხუსილი. ვირისტერფა ჯერ ყვავილობს და შემდეგ ფოთლებს ივითარებს. ყვავილობს მარტიდან აპრილის ბოლომდე. საქართველოში ის გავრცელებულია როგორც დაბლობ, ისე მთიან ადგილებში, კლდთან, ღორღთან და თხნარ ნიადაგებზე; ხარობს ჩამონახვავზე ან მიყარულზე, ზოგჯერ მდინარეთა მიერ დატოვებულ შლამიან ადგილებზეც. ვირისტერფა მეტად აბეზარი საერველა მცენარეა.

ქართველი ხალხი მას იყენებს თავის ტკივილის წინააღმდეგ და სიცხის დაწყევად.

შეიცავს: ტარაქსანთინს, ვიოლაქსანთინს, მორიმლაკ ნივთიერებას, ინსულინს, ლორწოს და სხვა.

მეცნიერულ მედიცინაში ვირისტერფას ხმარობენ სასუნთქავი გზების დაავადების დროს, როგორც ამოსახველებელ საშუალებას. ზოგჯერ მას ურჩევენ საყმაწვილოს დროსაც. მკურნალობის მიზნებისათვის აგროვებენ მის ფოთლებს მაისსა და ივნისში. ამრობენ ისე, რომ არ გაშავდეს. მხოლოდ უნდა გვანსოდეს, რომ შეგროვილი ფოთლები ქანგარას ლაქებითა და წერტილებით დაავადებული არ უნდა იყოს.



მ ი ნ დ ვ რ ი ს ი ა

მინდვრის ია, ანუ იაქუქუნა, საყოველთაოდ ცნობილი ადრე გაზაფხულის მცენარეა, რომელიც ეკუთვნის იისებრთა ოჯახს. ერთწლოვანია, შეხუსილი. ღერო 8—25 სმ. სიმაღლისაა, — სამწანანაყოვანი, მარტივი, ან დატოტილი. ყვავილი მეტად ღამაზია, მისი გვირგვინის ხუთი ფურცლიდან ზედა ორი უფრო დიდია და იისფერი, გვერდითი ფურცლები ნათელი იისფერია ან მოყვითალო, ხოლო ქვედა — მკრთალი ყვითელი. ყვავილობს აპრილიდან და ნაყოფობს აგვისტომდე. ერთსა და იგივე მცენარეზე ხშირად გვხვდება როგორც ყვავილი, ისე მწიფე ნაყოფი. მას ხვდებობთ როგორც დაბლობში, ისე მთის შუა სარტყელში, განსაკუთრებით ტყეებში, ბუჩქებში, მდელოებზე, ნაკვან ადგილებზე, ხალხში, ბოსტნებში, ნათესებში, გზის პირას, ნაჩხატებში და სხვ.


ქართულ ხალხურ მედიცინაში იას იყენებენ ხველების, პირის სიმსივნის, ფილენჯის ქარის და თვალის დაავადებათა წინააღმდეგ იაქუქუნას ფესვები შეიცავს: სალიცილმჟავას, ეთეროვან ზეთს, გლუკოზიდურ ყვითელ საღებავ ნივთიერებას და სხვ.

მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ მის ფესვებს სასუნთქავი გზების დაავადებათა დროს, აგრეთვე, როგორც შარდსაღწეო საშუალებას. იის ფესვებს დანაყოფების პერიოდში აგროვებენ.

ზარაპ უნდალი.

ბიოლოგიის მეცნიერებთა კანდიდატი.





მზე ანათობს ორგანიზმს

მზე ჯანმრთელობის საწინდარია. მზიან ბინაში ავადმყოფობა იშვიათია. მზის სამკურნალო გავლენა ძველი მედიკინიდანაა ცნობილი, მაგრამ მზით მკურნალობას მეცნიერული დასაბუთება და ფართო გავრცელება მიეცა ჩვენი საუკუნის დასაწყისში.

ჩვენი მზით მკურნალობის მეცნიერული დასაბუთება და მისი განვითარება დაკავშირებულია ცნობილი რუსი მეცნიერის, მოსკოვის უნივერსიტეტის დამაზახურებელი პროფესორის სნეიერევის სახელიან.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებმა ბევრი ახალი და ღირსშესანიშნავი შეიტანეს მზის სხივების ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის გამოყენების საქმეში. საბჭოთა მეცნიერების მიერ აღდგენილი დაზიანება სხივისანი ენერჯისა ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში.

ჩვენი ქვეყანაში მოსახლეობის გაჯანმრთელებისათვის დიდი მასშტაბითაა გამოყენებული მზე, წყალი და ჰაერი. სწორედ ამ მიზნით გაშლილია სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პიონერბანაკები და საბავშვო მოედნების ვრცელი ქსელი.

მზის სხივები კარგად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებზე, ამიტომ მზის აბაზანები, პირველ ყოვლისა, სასარგებლოა ჯანმრთელი ადამიანისათვის. ის პროფლაქტიკური, წინასწარი გამაფრთხილებელი საშუალებაა დაავადების თავიდან ასაცილებლად და მთელ რიგ დაავადებების დროს კარგ შედეგებს იძლევა.

მზის აბაზანების გამოყენება გარკვეული წესით უნდა წარმოებდეს ადამიანის ჯანმრთელობის შესაბამისად; წინააღმდეგ შემთხვევაში მხეს სარგებლობის ნაცვლად ნების მოტანა შეუძლია.

დღეამიწაზე მობნეულ მზის სხივებში ნახევარზე მეტი უხილავი ინფრაწითელი — სითბოს მომცემი სხივებია, შემდეგ მოდის ხილული — სინათლის მომცემი, და ყველაზე ნაკლები, დაახლოებით ერთი პროცენტი, ულტრაიისფერი სხივები.

მეტერი, კვამლი, ორთქლი და ნისლი აკავებს მზის სხივების ნახევარზე მეტს, ამიტომ ამაღ უფრო მძლავრია სუფთა, უკვამლო და უნისლო ადგილებში.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ულტრაიისფერი სხივებს; ეს სხივები განსაკუთრებით უხვია მაღალ მთებში და ზღვის პირას. ამით აიხსნება, რომ ამ ადგილებში უფრო ადრე და მძლავრად ვითარდება ევტროფიკაციული მზის მოკიდება, რაც უმთავრესად ულტრაიისფერი სხივების გავლენითაა გამოწვეული.

მზე დღის განმავლობაში ყოველთვის ერთნაირი სიძლიერის არ არის; დღისა და საღამოს მზის ენერჯია უფრო ნაკლებია. შუადღეზე კი — მეტი. ამიტომ მზით სამკურნალო მოედნებზე — სოლარიუმებზე მზის აბაზანების ხანგრძლივობა განისაზღვრება კალორიებით, მზის სხივებისაგან წარმოშობილი სითბოს ენერ-

ჯის მიხედვით, სათანადო წესების ზუსტი დაცვით, საექიმო მეთვალყურეობის პირობებში.

მზის სხივების ხანგრძლივი ზემოქმედება შიშველ სხეულზე ან დაუზურავ თავზე სერიოზულ ავადმყოფურ მდგომარეობას ავითარებს, რაც მზის დაკერის სახელწოდებითაა ცნობილი.

დიდი მნიშვნელობა აქვს შეჩვევას, ორგანიზმის შეგუებას, თავშიშველი მზეზე ხანგრძლივი ყოფნა მკურნალობის დროს. დღის განმავლობაში მზის აბაზანის მიღების წესები, აიცილინეთ მზის დაკერა.

მზის აბაზანები სასარგებლოა ჯანმრთელი ადამიანისათვის, რადგან მზე მრავალი ავადმყოფობის გამომწვევ მკარობებს სობს, მათ შორის ორგანიზმიდან გამოყოფის, კუნთების ამაგრების და კანის დაცველობით თვისებას აძლიერებს.

ძირითადად, მზით შემდეგნაირად შეიძლება სარგებლობა: მყუდრო, ზომიერი ნიავის პირობებში, ბაზაზით დეკარულ ადგილას მიეწეება მოედანი, სადაც მიწიდან დაახლოებით ერთი მეტრის დაშორებით დაიდგება ხის ტახტი. მზის აბაზანას შიშველ ტანზე უნდა იქნეს, ოღონდ თავი აუცილებლად უნდა იყოს დაცული საშუალო ქოლგით. პირველ ორ დღეს უნდა მივიღო მხოლოდ ჰაერის აბაზანები — ჩრდილში, სადაც გამაფრთხილებელი მზის სხივები მოქმედებენ ტიტეულ ტანზე და ამგვარად ვეჩვევით, ვემზადებით მზის პირდაპირი სხივების მიღებისათვის. შემდეგ უშუალოდ ვიწყებთ მზის აბაზანების მიღებას; პირველ დღეს — ხუთი წუთის ხანგრძლივობით, მეორე დღეს — ათი წუთის ხანგრძლივობით; ყოველ დღე ვუმატებთ ხუთ-ხუთ წუთს; სკოლამდელი ასაკისათვის მზის აბაზანების მიღების ხანგრძლივობა შეიძლება აყვანილი იქნეს 20 — 25 წუთამდე, სასკოლო ასაკისათვის — 30 — 40 წუთამდე და ჯანმრთელი სპორტსმენისათვის — 2—3 საათამდე დღეში. ყოველი საათის შემდეგ აუცილებელია დასვენება.

მზის აბაზანის მიღება ჯობს დღის პირველ ნახევარში. ამ პერიოდში მზის მზურველება თანდათან მატულობს და მისი ფიზიოლოგიური გავლენა უფრო ძლიერია.

მზის აბაზანის მიღების დროს, შუალედებში, შესვენების მიზნით, სასურველია 10 — 15 წუთით ჩრდილში გასვლა. აბაზანის მიღების შემდეგ საჭიროა ნელ-თბილი დუში. დაზიანება ან ზღვაში ბანაობა, თუ მზის აბაზანას ზღვისპირად ვღებულობთ.

ქარიან ამინდში მზის აბაზანის მიღება არ შეიძლება.

განივრულად ისარგებლე თ მზით, გაიკავთ ჯანმრთელობა, ეს თქვენი ძვირფასი აზროვნების, წარჩინებული სწავლის საწინდარი იქნება.

ალექსი მინდაკი,

მელიციონის მეცნიერებათა დოქტორი.



ამაღლებული და შინაარსიანი ორთაბრძოლა იყო. თითქმის ორ თვეს გრძელდებოდა ეს გრანდიოზული ჭიდილი. მეტად დაძაბულმა სპორტულმა ბრძოლამ მსოფლიო საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიქცია. ჭადრაკის მოყვარულები მეტოქეებთან ერთად მწვეველ განიცდიდნენ ბრძოლის მსვლელობას.

მატჩში გათამაშდა 24 პარტია. შევიდვილი შეხვედრა მოიგეს ბოტვინიკმა და სმისლოვმა, დანარჩენი ათი პარტია მეტად ვაცხოველებული ბრძოლის შემდეგ კიშით დამთავრდა. ასეთივე ორთაბრძოლის საბოლოო შედეგი 12:12. თანახმად საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის დაწესებულებებისა, რომელშიც ნათქვამია, რომ მატჩის ყაშით დამთავრების შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონი კვლავ ინარჩუნებს თავის საპატიო სახელს, 14 მაისს, ორთაბრძოლის სახეიმი დახურვისას, მსოფლიო ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი მესამედ შეამკეს მსოფლიო ჩემპიონის დაუნას გვირგვინით.

მსოფლიო ჩემპიონი მ. ბოტვინიკი ცნობილია როგორც ჭადრაკის დიდი თეორეტიკოსი და შესანიშნავი მეტბრძოლი. მას საჭადრაკო ასპარეზზე 30 წლის მოღვაწეობის მანძილზე საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში 25 პირველი ადგილი აუღია, ხოლო 1948 წლიდან იგი სახელგანთავსებელია ბრძოლებში მსოფლიო ჩემპიონის წოდებას. მაგრამ მ. ბოტვინიკი რიგობა მარტო მოქალაქე — იგი პრფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორია ელექტრობის დარგში.


ახლაგზარდა გროსმაისტერმა ვ. სმისლოვმა თავისი თამაშით საზოგადოებრიობის მოწონება დაიმსახურა. საერთაშორისო, რომ სმისლოვი მსოფლიო ჩემპიონის ღირსეული მეტოქე იყო.

მატჩში გათამაშდა მრავალი საინტერესო და შინაარსიანი პარტია, რომელიც საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ძლიერებაზე მეტყველებს. გროსმაისტერებმა დიდად გაამდიდრეს საჭადრაკო ხელოვნების თეორია. ორთაბრძოლის შემოქმედებით შედეგები დიდხანს იქნება მსოფლიოს მოჭადრაკეთა მსჯელობის საგანი.

მსოფლიო ჩემპიონს ბოტვინიკს მხოლოდ 1957 წელს მოუწევს საპატიო ტიტულის დაცვა. ვინ იქნება ის, ვინც ბოტ-

ვინიკს შეეცილება მსოფლიო ჩემპიონობაში? ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. მაგრამ შეიძლება ისეც სმისლოვი ან ბროსუტინის შეიძლება კერძო ან მსოფლიო ბუნე ნიჭური საბჭოთა გროსმაისტერები ე. გუდერი, ტ. პეტროსიანი, ბ. ტაიშანოვი და სხვებიც. ყველასთვის საპატიოა იბრძოდნენ მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის!

3. სმისლოვი



მ. ბოტვინიკი

1. ვ3! (ღრმად გააზრებული გეგმის დასაწყისი. ბოტვინიკი პიკეობთ იერიშს იწყებს) 1... გაd8 2. კა2 ეფ8 3. გაd1 მ8 4. ე1d8 ე1d8 5. ე5! (არჩეული გეგმის აქტიური გაგრძელება) მდ5 6. მდ5 (ეს უკეთესია. 6. მ8d4 შემდეგ ბრძოლა უცხად რთულდება 6... ლე7 7. f4 ეფ 8. ეფ მ6) 6...cd 7. ლმ2 მ6ნ 8. f4 ეფ 9. ეფ ლნ 10. f5 მ6ნ 11. ლფ5 (თორბემა შექმნეს რეალური შუქარები შავი მეფის წინააღმდეგ) ედ7? (ცაიწინოვო დაშვებულ შეცდომა. უკეთესი იყო 11... f6!, რომლის შემდეგ ძნელია თორბემათავის უპირატესობის გამოყენება. მაგალითად: 12. ეფ ლნ6 13. ლნ6 ეფ 14. ედ1 მ8d4. ან კიდევ 12. ლფ6 ლa4 30. ეფ ლe4+ 31. მფ3 ლd4+) 12. ეფ1 f6 13. ეფ მ8d4 14. f7+! ეფ1 15. ლმ8+ მფხ7 16. კდ5 მფ2+ 17. მფ2 ლნ6 18. ლნ6 ეფ1 19. მფ:2 ეფ5+ 20. კქ3 ეფ4 21. ეფ4 და სმისლოვმა დათმო პარტია.

თ. გიორგაძე,

ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში.



შესანიშნავი თევი

უმრავლესობას აქვს წარმოდგენა უმაკ-
თულო ტელეგრაფზე, ტელეფონ-აკომპლ-
ზე, ელექტრონათურაზე, მაგრამ ყველა-
სათვის არაა ცნობილი, რომ ელექტრონ-
ების ნაკადი განუწყვეტილად წარმოიშობა
ცოცხალი ცხოველის სხეულშიც.

ზოგიერთი «შექანისში» ცოცხალი ცხო-
ველისა, აღმოჩენილი ამ დენების შესწავ-
ლის დროს, გვანცვიფრებს თავისი სრულ-
ყოფილობითა და სირთულით უფრო მეტად,
ვიდრე ადამიანების მიერ შექმნილი ტექნი-
კის ურთულესი შედეგები.

XVIII საუკუნეში მეცნიერება თანდათა-
ნობით გაეცნო ელექტრონულ მივლენებს
და დაიწყო მათი ბუნებაში არსებობის შეს-
წავლა. სხვა ბუნებრივ ელექტრომოლე-
ნებს შორის, ადამიანსა დაიწყო ექსპერი-
მენტების ჩატარება აგრეთვე ელექტრონის
თევზებზეც.

ელექტრონის თევზები ცხოვრობენ ხმე-
ლთაშუა ზღვაში ღრა ისინი დიდი ხანი
შემჩნეული ყავდა ზღმწებუსა და რომაე-
ლებს. მათ შეამჩნიეს, რომ ამ თევზებთან
შეხებას შესაძლოა თან სდევდეს ძალიან
არასასიამოვნო დარტყმა.


ელექტრონის თევზებს შორის ყველაზე
უფრო შესანიშნავია გველ-თევზა, რომელიც
ცხოვრობს სახმრთ ამერიკის მდინარეებში.
ამ თევზის სიგრძე აღწევს 2,5 მეტრს. ასეთ
თევზს შეუძლია გამოიშუშოს დაახლოებით
300-400 ელექტრონი ტოლი პოტენციალთა
სხვაობა თავსა და კუდს შორის. გავიხ-
სენით, რომ ჩვენი საცხოვრებელი სახლების
ელექტროგამტარებში გამავალი დენის ძაბ-
ვა 120 ვოლტია.

გველთევზას მიერ ელექტრონული დაცლა
აბრტყებს მასთან ახლო მყოფ ადამიანს
და ცხენსაც კი.

ამ თევზის სხეულის მოცულობის ნახეა-
რი უკავია ორგანოებს, რომლებიც ელექ-
ტროდენს წარმოშობენ. თავისი ელექტრო-
ნული ორგანოს დაცლა მათ შეუძლიათ,
როცა ეს მათთვის საჭიროა. ისინი ამ
დენს იყენებენ მსხვერპლის გასაბრუნებლად.

ს ა ს ფ ო რ ი

თქვენ, ალბათ, ყველას გინახავთ სასწო-
რი. იგი სხეულის წონის გასაზომი ხელსაწე-
ყობა; ხალხს იგი სიზუსტის სიმოძოლოდ მი-
აჩნია. ძველ ქართულ დერბზე გამოსახუ-
ლია სასწორი, როგორც სწორი და პირუ-
თვნელი სამართლიანობის სიმბოლო. ენა-
ხით რამდენად შეესაბამება ეს შეხედულებ-
ა სიმართლეს.



წონად, რომლებიც შეუიარაღებელი თვა-
ლით უხილავი არიან.

ამგვარად, ხალხი არ შეეცდარა, როცა
სიზუსტის სიმოძოლოდ სასწორი იარჩია: თა-
ნამედროვე სასწორები საცხებით ამართლე-
ბენ ამ სახეს.

მომავალში მდინარი

1935 წლის ზაფხულში რაინის ნაპი-
რებზე მცხოვრებნი 700 კილომეტრის მან-
ძალზე, დილეუკასპევიდინან როტერდამამ-
დ, ჟენაურ მოვლენას ამჩნევდნენ: თევზე-
ნი წყლის ზედაპირზე ამოიჭრებოდნენ,
ე. ი. როგორც ზირადილები ყლაპავდნენ
პაერს და იქვე რუქებოდნენ. მათი სხეუ-
ლი დაჭუჭული იყო იაერით.

რაინში თევზების მასობრივად დაღუბა
1936 წელს იმით აიხსნებოდა, რომ ქიმი-
ური ქარხნები მდინარეში უშვებდნენ გადა-
მუშავებულ შხამიან წყლებს.

რაინი ისეთ ოლქებზე მიედინება, სა-
დაც მტკნოვანი განვითარებულია მრეწველობა,
მისი შესაქადები კი სურავს რურის ოლქს.
დასავლეთ ვერმანიის საწარმოები თავის
გადამუშავებულ წყალს უშუალოდ მდინა-
რეში უშვებენ წინასწარ გაუწმენდავად.
ამიტომაც ბონის ახლის მდინარის წყალს
ბენზოლის ენოლი დაპყრეს, დილეუდროფ-
თან კი გემოლისაგან მთლად გაშვეფე-
ლია. ზაერის ქარხნები და ელზასის კა-
ლიუმის საბადოების ქარხნი უშვებენ შხა-
მებსა და მკაველებს. ქალაქების კელნისა და
დილეუდროფის საავადმყოფოები, სასა-
ლაოები და საწარმოები თავიანთ გაჭუჭ-
ყიანებულ წყალს ამ მდინარეში უშვებენ.

ტოვის, პარატივის, სიეფთლისა და
სხვა ავადმყოფობათა ეპიდემიები იქ ჩვეუ-
ლებრივ მოვლენებად იქცნენ. წყლის ანა-
ლიზმა ცხადყო, რომ იგი ერთ ოლტარში
შეიცავს სხვადასხვა ავადმყოფობის გამომ-
წვევ 45 მილიონ ბაქტისს. კელნიც გასა-
ვიდრე დიანდარების მშენებლობის დასა-
წყოზე მეტ ხანს ჰქანაურდება. ასეთივე
დავადარების პროექტი დილეუდროფში 1940
წლიდან მართის ქვეშ დგეს. მაგრამ ეს
სრულეობითაც არ აღუვლებს დასავლეთ
გერმანიის ბონის მოავრობას. იგი ზურუნავს
მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო მძლავრად
ბოლავდნენ რურის, ზაერისა და ვესტფა-
ლის ქარხნები, რომლებიც ახალი მოისა-
თვის იარაღს ამზადებენ. ქალაქებია კვლავ
უშუალოდ მდინარიდან სარტყლობენ მო-
წამული წყლით. დილეუდროფი ზაერში,
ავადდებთან მოზრდილი ადამიანები, ისაო-
ბა თევზი და მასთან ერთად მუთვეზთა
ლუკპაურც.

პიონერული ამბები

შემთხვევა სტეპში

ცაზე ვეებერთელა თეთრი ღრუბელი გამოჩნდა. მოსწავლე შურა ზაბროდინი მარტო მწყემსავდა ცხვარს დიდ ფარას. უცებ ქარი ამოვარდა, ღრუბლები სწრაფად მოახლოვდა, ყველაფერი აირია, დატრიალდა და რამდენიმე ნაბიჯზე აღარაფერი ჩანდა.

ფერამში გაქცევა გვიანია იყო: შეშინებული ცხვრები დაიქსაქსებოდნენ და დაიღუბებოდნენ.

შურამ თავგამებებით დაიწყო ცხვრების შეგროვება, მაგრამ უამრავ შეშინებულ ცხვარს ბიჭმა ვერაფერი მოუხერხა.

უცებ გაახსენდა, რომ ცხვრებს ასეთი ჩვეულება აქვთ: ერთი თუ გაიქცა — ყველა მას გაჰყვება. შურამ ბატკანი აიყვანა, გულზე მიისხტა და ფარისისაკენ გასწია სირბილით. როგორც კი დედა ცხვარმა გაიგონა ბატკნის ბღავილი, მაშინვე უკან დაეღვენა და მთელი ფარა ზედაწყვეტით თან გაიყოლა.

გამოჩნდა ფარისიც, ბიჭი შიგ შევიარდა და 850 გადარჩენილი ცხვარიც მას მიჰყვა.

შურა ზაბროდინის გამებლაობით და ვეჯცაობით აღფრთოვანდა საბჭოთა მეურნეობის ყველა თანამშრომელი. ღირებულებამა მადლობა გამოუცხადა და 1000 მანეთით დააჯილდოვა იგი.

გოგრა

ნორჩ ნატურალისტთა კონტროლის საოლქო სადგურში გასული წლის შემოდგომიდან იხატება უჩვეულო სიდიდის გოგრა — წონით ორ ფუთზე მეტი, რომელიც გალია ღვავამ სადგურის საცდელ ნაკვეთზე გაზარდა. გალიამ მეტად უხვი მოხავალი მიიღო: მექტარზე რომ გადავიანარკოთ — 1260 ცენტნერი. ნორჩი ნატურალისტი საკვებში სასოფლო-სამეურნეო გამოყენების კანდიდატად ჩარიცხეს და მისი გოგრა ნორჩი ნატურალისტების პავლიონში გამოფენაზე გაგზავნეს.

გალია ღვავამ დაამტკიცა, რომ სახმრეთის გარდა კონტროლის ოლქშიც შეიძლება მიიღონ ძვირფასი საკვები კულტურის მაღალი მოხავალი საქონლისათვის.

კონტროლის ოლქი განთქმულია ჯიშისანი მეწველი ძროხებით. ეს იცინა კონტროლმეცმა მოსწავლეებმა, ამიტომ მრავალი მათგანი ეხმარება უფროსებს ცხოველმეხისათვის წესიანი საკვების მოყვანა-დამზადებაში.

400 ძირი ჭიშკრის ხე

ტყის დღეისანი დაკავშირებით, ახმეტის რაიონის სოფ. აწყურის სკოლის პიონერებმა ორმოცი ამოთხარეს და 400-ზე მეტი სხვადასხვა ედავის ხე დარგეს, მათ შორის მრავალი მარდამწვანი მცენარეა. ახლა მათი სკოლის ეზო პატარა ტყით არის დაფარული, რომელსაც პიონერები გულმოდგინედ უვლიან.



პიონერული


შინაარსი

ნაზი კილასონია — გამოცდები (ლექსი)	მე-1
ივანე ურჯუშეშვილი — სუვოროველები (მოთხრობა)	2
მუხრან მაჭავარიანი — პიონერული მგზავრული (ლექსი)	7
ვაჟპარა შერაზაიშვილი — „მასხიობები“ (პოემა)	8
ი. ლიქსტანოვი — პირველი სახელი (ნაწყვეტები მოთხრობიდან, თარგნა ბ. შელიამ)	11
ქუთაისელი ნორჩი ნატურალისტები (ფოტონარკვევი)	16
აკაკი ბელაშვილი — საიდუმლო გამოქვაბული (მოთხრობა)	18
ვა. ჯავაიშვილი — ბუნების საინტერესო მოვლენა (წერილი)	24
ბაკურ ბახტურიძე — ირაკლი აბაშიძე „საბავშვო ლექსები და პოემები“ (წერილი)	26
მოსწავლეთა შემოქმედება (ლექსები)	27
ზურაბ შენგელია — სამკურნალო მცენარეები	28
ალექსი მინდაძე — მზე აწრთობს ორგანიზმს (ექიმის საუბარი)	29
თ. გიორგაძე — მ. ბოტკინიკი — მსოფლიო ჩემპიონი (წერილი)	30
მოკლე და ყველაფერზე	31
პიონერული ამბები	32
გასართობი	გარეკანის მე-3 გვ.

გარეკანის პირველ გვერდზე — „ნანაკისკენ“ — ნან. კ. მახარაძის; გარეკანის მეოთხე გვერდზე — „ბაღში“ — ფოტოგრაფი ბ. მაღლაფერიძისა.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების: კ. მახარაძის, დ. ხახუტაშვილის, ალ. ბანჭელაძის, გ. თოთბაძის და გ. ფოცხიშვილის მიერ.


რედაქციის რევაზ მარგაძის. სარედაქციო კოლეგია: რ. ელიანთი, გ. ვარდლანიძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. ველიძე, მ. ლიპანიძე (პეტი. მდივანი), მარჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატერიაშვილი.



PIONIERI — Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. Июнь, № 6, 1954.
 Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული, ტელ. 3—81—85.
 № 104894 რეკონი 15.000 აბონიტი უფ. № 166 სტამბის შტაფ. № 699. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.

ბ ე ს ა რ თ ო ბ ი

კ რ ი ს ს ო რ ე ი



ჰ რ ი ზ ო ნ ტ ა ლ შ რ ა ლ

1. მდინარე კახეთში, 5. უდაბნო ჩინეთში, 7. მუსიკალური ნაწარმოების ფორმა, 8. ვისრამანის გმირი ქალი, 10. გამაჩენილი, ვეცაკური საქმის ჩამდენი პირი, 11. ქიმიური ელემენტი, 12. ძვირფასი თვალე, 15. მიწის ქერქზე დანამატი ფენი, 19. საბერძნეთის ძველი სახელწოდება, 21. ნავსადგური მაღაის ნახევარკუნძულზე, 22. მდინარე საქართველოში, 25. გალვანური ელემენტის დადებითი პოლუსი, 27. საზეიმო ხასიათის მუხიკა, 30. მამაკაცის სახელი, 31. უმაჯოული ელექტრომაგნიტური ტალღებით გადაცემა, 34. მინერალებს ერთ-ერთი სახეობა, 35. ქალაქი ებტალეთში, 37. მდინარე აფხაზეთში, 38. რომალების ნაწილი, 39. სამკედლო იარაღი, 40. ბაშკირეთის დედაქალაქი, 41. ხის წებო, 43. საღამუშენებლო ქვა, 44. განძეულობის შესანახი უწყვეტი ყუთი,

46. ზღაპრული გმირი, 48. დიპლომატიური წარმომადგენელი, 50. ფულის სახელწოდება ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში, 51. მოსწავლე მეზღვაური, ძველ ფლოტში, 52. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში, 55. პლანეტა, 57. მეცნიერის დამსწრე — თანაშემწე მეუღლის პროცესში, 59. კალმანის ოპერეტა, 60. შექსპირის ტრაგედიის გმირი, 63. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, 66. მარცვლული კულტურა, 67. სარველა მცენარე, 68. მუსიკალური ინსტრუმენტი, 69. შეკუმშული ფანჯალი, 70. ქართული ისტორიული ძეგლი, 71. ასპარეზობა — დღესასწაული, ერთ-ერთი კულტურული დარგის დათვალიერებით.

ვ ი რ ტ ი კ ა ლ შ რ ა ლ

1. სახელმწიფო აფრიკაში, 2. სახელმწიფო მცირე აზიაში, 3. პოეზიის ერთ-ერთი დარგი, 4. ერთ-ერთი ღვათება ინდოელთა მიოლოგიაში, 5. მუსიკალურ ტონთა რიგი, 6. არაკი, 8. ხილი, 9. კუნძული ინდოეთის ოკეანეში, 13. თვალის ნაწილი, 14. განსახიერება, ნიშნში, მსგავსი, 16. გამონეილი კომპოზიტორი, 17. სურნელთვანი მწვანელი, 18. ქიმიური ელემენტი, 20. სახელმწიფო ევროპაში, 22. ზოლშევიკური პარტიის გამოწვეული მოღვაწე, ლენინ — სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, 23. ვაზის ავადმყოფობა, 24. მშვიდობისათვის მებრძოლი საბჭოთა მწერალი, 26. ორგანოზმის მიერ გადაღები სენის შეუთვისებლობა, 28. მკვასე ურტყინი, 29. ტექნიკური კულტურა, 30. ყრუთათვის სმენის გასაძლიერებელი მოწყობისა, 32. საკრავი, მუსიკალური ინსტრუმენტი, 33. ფრანგელი, 35. ცნობილი გმირი ქალიშვილის ზოია კოსტოლევა-ნსკაიას საბრძოლო სახელი, 36. სპორტის ერთ-ერთი სახეობა, 42. ბანა, 45. ყალბი, 46. მცენარე, რომლისგანაც ბღიან სურნელოვან ზეთს, 47. მომთაბარე ტომთა ბინა, 49. ცნობილი საბჭოთა აკადემიკოსი, 53. მარცვლოვანი კულტურა, 54. ტექნიკური კულტურა, 56. სოფელი დასავლეთ საქართველოში (დრეზენში), 58. სოფელი თბილისის გარეუბანში, 59. მდინარე მაროშში, 61. მტაცებელი ფრინველი, 62. რწყენა, პრინციპი, 65. არტე-დარტე, 64. საჯარო განცხადება კედელზე გაკრული, 65. ზნეობა, წესებრება.

შეადგინა კ. თაბცილინივილიშვილმა

კ ა ს ს უ ს ი

შურნ. „კომსოლს“ № 4-ში მოთამსებავს კრიმსოკრძე

ჰ რ ი ზ ო ნ ტ ა ლ შ რ ა ლ

1. ნევა, 4. რონა, 7. ანოლი, 8. ონისე, 9. კრივი, 11. ირემი, 12. ჩაიოტსკი, 14. თაჯა, 15. ირანდია, 16. წერეთელი, 19. თუთა, 21. ქლიბი, 24. პადავი, 25. მანდილი, 26. ანკარა, 29. ირანი, 30. აგარა, 31. გეოლოგია, 32. ბოტანიკა, 35. ტაფა, 37. კივი, 38. გლუკი, 40. იგარი, 41. ფლორი, 42. თერგი, 43. დონი, 44. იავა.

ვ ი რ ტ ი კ ა ლ შ რ ა ლ

2. აზოტი, 3. ხმელა, 4. რიანი, 5. ბოლი, 6. გამა, 7. ავეჯი, 10. იავი, 12. ჩიქოთა, 13. იგერია, 17. აბრდელი, 18. ბადრი, 19. თავი, 20. ილილი, 21. ქლოვა, 22. იუნჯა, 23. პრალა, 27. აღდგომა, 28. კარაქი, 31. ვრავი, 33. აგური, 34. ჩხვობი, 35. ტულა, 36. მონი, 38. გორკი, 39. იაკი.

